

Güncüce

MODÜL-3



Hazırlayanlar

Prof. Dr. Rusudan SAGİNADZE / Recep Tayyip Erdoğan Üniversitesi

Doç. Dr. Maia KİK VADZE / Recep Tayyip Erdoğan Üniversitesi

Ali Rıza ALTUNEL

Proje Kordinasyon

Gürcistan Dostluk Derneği Başkanlığı Adına

Kapak Tasarım ve İllüstrasyon

Arş. Gör. Gökçe ARİFOĞLU

Grafik Tasarım

Öznur YILDIRIM

Türkçe Dil Uzmanı

Erdoğan MURA

Rehberlik Geliştirme Uzmanı

Uğur YILDIRIM

Ölçme Değerlendirme Uzmanı

Osman EPÇİM

Basım Yılı:

ISBN:



İSTİKLÂL MARŞI

Korkma, sönmez bu şafaklarda yüzen al sancak;
Sönmeden yurdumun üstünde tüten en son ocak.
O benim milletimin yıldızıdır, parlayacak;
O benimdir, o benim milletimindir ancak.

Çatma, kurban olayım, çehreni ey nazlı hilâl!
Kahraman ırkıma bir gül! Ne bu şiddet, bu celâl!
Sana olmaz dökülen kanlarımız sonra helâl.
Hakkıdır Hakk'a tapan milletimin istiklâl.

Ben ezelden beridir hür yaşadım, hür yaşarım.
Hangi çılgın bana zincir vuracakmış? Şaşarım!
Kükremiş sel gibiyim, bendimi çiğner, aşarım.
Yırtarım dağları, enginlere sığmam, taşarım.

Garbın âfâkını sarmışsa çelik zırhlı duvar,
Benim iman dolu göğsüm gibi serhaddim var.
Ulusun, korkma! Nasıl böyle bir imanı boğar,
Medeniyet dediğin tek dişi kalmış canavar?

Arkadaş, yurduma alçakları uğratma sakın;
Siper et gövdeni, dursun bu hayâsızca akın.
Doğacaktır sana va'dettiği günler Hakk'ın;
Kim bilir, belki yarın, belki yarından da yakın.

Bastığın yerleri toprak diyerek geçme, tanı:
Düşün altındaki binlerce kefensiz yatanı.
Sen şehit oğlusun, incitme, yazıktır, atanı:
Verme, dünyaları alsan da bu cennet vatanı.

Kim bu cennet vatanın uğruna olmaz ki feda?
Şüheda fişkırarak toprağı sıksan, şüheda!
Cânı, cânânı, bütün varımı alsın da Huda,
Etmesin tek vatanımdan beni dünyada cüda.

Ruhumun senden İlahî, şudur ancak emeli:
Değmesin mabedimin göğsüne nâmahrem eli.
Bu ezanlar -ki şehadetleri dinin temeli-
Ebedî yurdumun üstünde benim inlemeli.

O zaman vecd ile bin secde eder -varsa- taşım,
Her cerîhamdan İlahî, boşanıp kanlı yaşım,
Fıskırır ruh-ı mücerret gibi yerden na'sım;
O zaman yükselerek arşa değer belki başım.

Dalgalan sen de şafaklar gibi ey şanlı hilâl!
Olsun artık dökülen kanlarımın hepsi helâl.
Ebediyyen sana yok, ırkıma yok izmihlâl;
Hakkıdır hür yaşamış bayrağımın hürriyyet;
Hakkıdır Hakk'a tapan milletimin istiklâl!

Mehmet Âkif Ersoy

GENÇLİĞE HİTABE

Ey Türk gençliği! Birinci vazifen, Türk istiklâlini, Türk Cumhuriyetini, ilelebet muhafaza ve müdafaa etmektir.

Mevcudiyetinin ve istikbalinin yegâne temeli budur. Bu temel, senin en kıymetli hazinendir. İstikbalde dahi, seni bu hazineden mahrum etmek isteyecek dâhilî ve hâricî bedhahların olacaktır. Bir gün, istiklâl ve cumhuriyeti müdafaa mecburiyetine düşersen, vazifeye atılmak için, içinde bulunacağın vaziyetin imkân ve şeraitini düşünmeyeceksin! Bu imkân ve şerait, çok namüsaî bir mahiyette tezahür edebilir. İstiklâl ve cumhuriyetine kastedecek düşmanlar, bütün dünyada emsali görülmemiş bir galibiyetin mümessili olabilirler. Cebren ve hile ile aziz vatanın bütün kaleleri zapt edilmiş, bütün tersanelerine girilmiş, bütün orduları dağıtılmış ve memleketin her köşesi bilfiil işgal edilmiş olabilir. Bütün bu şeraitten daha elîm ve daha vahim olmak üzere, memleketin dâhilinde iktidara sahip olanlar gaflet ve dalâlet ve hattâ hıyanet içinde bulunabilirler. Hattâ bu iktidar sahipleri şahsî menfaatlerini, müstevlîlerin siyasî emelleriyle tevhit edebilirler. Millet, fakr u zaruret içinde harap ve bîtap düşmüş olabilir.

Ey Türk istikbalinin evlâdı! İşte, bu ahval ve şerait içinde dahi vazifen, Türk istiklâl ve cumhuriyetini kurtarmaktır. Muhtaç olduğun kudret, damarlarındaki asil kanda mevcuttur.

Mustafa Kemal Atatürk



MUSTAFA KEMAL ATATÜRK


შინაარსი

| | |
|---|-----|
| თავი 1. როგორი ამინდია? | 7 |
| თავი 2. მე მიყვარს ცხოველები | 21 |
| თავი 3. ხილი და ბოსტნეული | 37 |
| თავი 4. რას მიირთმევთ? | 55 |
| თავი 5. ადამიანი. პორტრეტი | 71 |
| თავი 6. ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება. დაწესებულებები და მომსახურების ობიექტები | 87 |
| თავი 7. რა ჩავიცვათ? | 105 |
| დანართი 1. დავალებები | 119 |
| დანართი 2. ზმნები | 144 |
| დანართი 3. ლექსიკონი | 152 |
| დანართი 4. მოსმენა და გაგება (პასუხები) | 159 |
| ლიტერატურა: | 167 |



თავი 1. როგორი ამინდია?

- ✓ ბუნების მოვლენები
- ✓ ამინდი
- ✓ ამინდის პროგნოზი (როგორი ამინდია დღეს?)
- ✓ ზედსართავი სახელები (მზიანი, მთვარიანი, ღრუბლიანი, წვიმიანი...)
- ✓ ნაწილაკი (ნეტავ)
- ✓ ზმნიზედა (საკმაოდ, ხშირად, იშვიათად)
- ✓ თუ კავშირიანი კონსტრუქციები
- ✓ ზმნები (მცივა, მცხელა, თამაში, დასვენება, ფიქრი)
- ✓ ფრაზები (ამინდი იცვლება, ქარი ქრის...)





1. მოსმინეთ სიტყვები! 

1. მზიანი

2. წვიმიანი

3. ქარიანი

4. თოვლიანი

5. ღრუბლიანი



6. ნისლიანი

7. ცხელა

8. ცივა

9. თერმომეტრი

2. მოსმენილი სიტყვები მიუწერეთ შესაბამის სურათებს! 



3. გაიმეორეთ მოსმენილი სიტყვები! 



კითხვა-გაგება

1.1. წაიკითხეთ ტექსტი!

➤ ამინდი ანტალიასა და ბათუმში



ქალაქი ანტალია თურქეთის დიდი კურორტია. იქ მშრალი ჰავაა. ანტალიაში ზაფხულში ძალიან ცხელა, ტემპერატურა **+35 – +40** გრადუსია. წელიწადის სხვა დროს ძალიან არ ცივა.

ბათუმი საქართველოში პატარა საზღვაო ქალაქია. იქ ხშირად წვიმს. ბათუმში ნესტიანი ჰავაა. ზაფხული საკმაოდ ცხელია, **+30 – +35** გრადუსია. მზიანი ამინდი და ლურჯი ზღვა კარგია ტურისტებისთვის. ზამთარში ცივა, თოვლიც მოდის.

ტურისტებს ძალიან მოსწონთ ორივე ქალაქი.



1.2. ტექსტის მიხედვით სწორი პასუხი აღნიშნეთ (✓)!

| | |
|---------------------------------------|--------------------------|
| 1) ანტალიაში მშრალი ჰავაა. | <input type="checkbox"/> |
| ანტალიაში ნესტიანი ჰავაა. | <input type="checkbox"/> |
| 2) ანტალიაში ზამთარში ძალიან არ ცივა. | <input type="checkbox"/> |
| ანტალიაში ზამთარში ძალიან ცივა. | <input type="checkbox"/> |
| 3) ბათუმში მშრალი ჰავაა. | <input type="checkbox"/> |
| ბათუმში ნესტიანი ჰავაა. | <input type="checkbox"/> |
| 4) ბათუმში ზღვაა. | <input type="checkbox"/> |
| ბათუმში ზღვა არ არის. | <input type="checkbox"/> |
| 5) ტურისტებს მოსწონთ ორივე ქალაქი. | <input type="checkbox"/> |
| ტურისტებს არ მოსწონთ ორივე ქალაქი. | <input type="checkbox"/> |

1.3. წაიკითხეთ ტექსტი!

➤ როგორი ამინდია დღეს?

ახლა მარტია, გაზაფხულის პირველი თვე. ამინდი ხშირად იცვლება. გუშინ ძალიან კარგი ამინდი იყო, მზიანი და თბილი. დღეს დილიდან ცივა. ახლა ცაზე ღრუბლებია. მე ვფიქრობ, წვიმა იქნება. ხვალაც და ზეგაც წვიმიანი დღეებია. ამინდის პროგნოზიც ასეთია.

★ როგორი ამინდია დღეს?

| | |
|-------------------------|------------------------------|
| ა: როგორი ამინდია დღეს? | ა: აქ ამინდი ხშირად იცვლება? |
| ბ: დღეს კარგი ამინდია. | ბ: არა, იშვიათად იცვლება. |



1.4. ტექსტის მიხედვით დასვით შეკითხვები!

1)

დიახ, მარტი გაზაფხულის პირველი თვეა.

2)

გუშინ მზიანი და თბილი ამინდი იყო.

3)

დღეს ცუდი ამინდია.

4)

ხვალ და ზეგ წვიმიანი ამინდია.

➤ დაიმახსოვრეთ!

როგორი ამინდი

იყო
არის
იქნება

გუშინ?
დღეს?
ხვალ?

+16°-ია = პლუს 16 გრადუსია
-16°-ია = მინუს 16 გრადუსია

რამდენი გრადუსია ჰაერის
ტემპერატურა?



მოსმენა და გაგება

1. მოისმინეთ წინადადებები! 



2. მოსმენილი წინადადებების მიხედვით ჩაწერეთ, სად როგორი ამინდია! 

| | |
|-----------|--|
| ერზრუმში | |
| ქუთაისში | |
| საქარიაში | |
| ბათუმში | |

3. მოისმინეთ დიალოგი! 

4. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს! 

ა: როგორი ამინდია დღეს ანკარაში?

ბ:


ა: რიზეში ძალიან ცივა?

ბ:

ა: გუშინ თბილისში წვიმიანი ამინდი იყო?

ბ:

5. მოისმინეთ ტექსტი! 

6. მოსმენილი ტექსტის მიხედვით წინადადებებში ჩაწერეთ ზმნები! 

1. გუშინ თურქეთში თბილი ამინდი

2. დღეს დაბალი ტემპერატურა

3. სტამბოლსა და დუზჯეში

4. სამსუნში, ტრაპიზონსა და რიზეში

5. ორი დღის შემდეგ მზიანი ამინდი



საუბარი

1. წაიკითხეთ დიალოგი!



აიშე: სალამო მშვიდობისა, ანა! ნეტავ, ხვალ როგორი ამინდი იქნება?

ანა: არ ვიცი, ამ სალამოს მთვარიანი და ვარსკვლავებიანი ცაა, ალბათ, ხვალაც კარგი ამინდი იქნება.

აიშე: თუ კარგი ამინდი იქნება, პიკნიკზე წავალთ?

ანა: ვფიქრობ, წავალთ და ბევრს ვითამაშებთ.

აიშე: რა კარგია! თამაში ყველას უყვარს.

2. გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული სიტყვები და ააგეთ მსგავსი დიალოგი!

ჰაქანი
ნიკა
დრუბლიანი
ულრუბლო

ლია
ფატმა
წვიმიანი
სახლი

ზეინაბი
შულე
ნისლიანი
მზიანი

3. წაიკითხეთ წინადადებები და დასვით შეკითხვები!

ა:

ბ: დილით მზე ადრე ამოდის.

ა:

ბ: მზე ანათებს და ათბობს ყველას და ყველაფერს.

ა:

ბ: სალამოს მზე ჩადის.


ა:

ბ: მზის ჩასვლის შემდეგ ცაზე მთვარე და ვარსკვლავებია.



წერა

1. წაიკითხეთ დიალოგი!



ალი: ლია, წელიწადის რომელი დრო მოგწონს ყველაზე მეტად?

ლია: მე ყველაზე მეტად გაზაფხული მომწონს.

ალი: რატომ?

ლია: იმიტომ რომ გაზაფხულზე ძალიან არ ცივა და არ ცხელა, თბილა, მწვანე ბალახი ამოდის, ბევრი მცენარე და ყვავილია.

ალი: რომელი ყვავილი გიყვარს ყველაზე ძალიან?

ლია: ძალიან მიყვარს იები, ტიტები და ვარდები.

ალი: მეც მომწონს გაზაფხული.

2. დიალოგის მიხედვით დაწერეთ ტექსტი!

გაზაფხული

ნიმუში:

ლიას ყველაზე მეტად გაზაფხული მოსწონს, იმიტომ რომ

.....
.....
.....
.....
.....



3. დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან!

| | |
|------------|-------------|
| თერმომეტრი | დილა |
| ქოლგა | ცა |
| მთვარე | თოვლი |
| ქუდი | წვიმა |
| ვარსკვლავი | ღამე |
| მზე | ტემპერატურა |

4. ცხრილის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს!

| | | |
|---|-----------|------|
| 1 | ანკარა | +12° |
| 2 | ერზრუმი | -2° |
| 3 | ბოდრუმი | +22° |
| 4 | სტამბოლი | +16° |
| 5 | ტრაპიზონი | +15° |

- 1) როგორი ამინდია ანკარაში, თბილა თუ გრილა?
.....
- 2) რამდენი გრადუსია ჰაერის ტემპერატურა ბოდრუმში?
.....
- 3) თურქეთის რომელ ქალაქშია ყველაზე მაღალი ტემპერატურა?
.....
- 4) რომელ ქალაქშია ყველაზე დაბალი ტემპერატურა?
.....
- 5) ტრაპიზონში ძალიან ცივა?
.....



გრამატიკა

1. მსაზღვრელ-საზღვრული (მზიანი დღე, მთვარიანი ღამე...)

მზიანი დღე

მთვარიანი ღამე

ღრუბლიანი ცა

წვიმიანი ამინდი

უმთვარო ღამე

უმზეო დღე

დღეს **მზიანი** დღეა.
წუხელ **მთვარიანი** ღამე იყო.
დილიდან **ღრუბლიანი** ცაა.
შაბათს **წვიმიანი** დღე იქნება.
ქუთაისი **ქარიანი** ქალაქია.

უმზეო დღე არ მიყვარს.
უღრუბლო ცა კარგია.
უმთვარო ღამეში სიარული არ მიყვარს.
უთოვლო ზამთარი კარგი არ არის.

2. ზმნიზედა (საკმაოდ, ხშირად, იშვიათად)


საკმაოდ

ხშირად ≠ იშვიათად

დღეს **საკმაოდ** თბილა.
ზაფხულობით ბათუმში **საკმაოდ** ბევრი ტურისტი ჩამოდის.
ზამთარში **ხშირად** ავდარია, **იშვიათად** დარია.
ჩვენ **ხშირად** არ ვმოგზაურობთ, **იშვიათად** ვმოგზაურობთ.
თქვენთან ამინდი **ხშირად** იცვლება?
მე **ხშირად** უფრო მცხელა, **იშვიათად** მცივა.



3. ნაწილაკი (ნეტავ)



4. „თუ“ კავშირიანი კონსტრუქციები





5. ზმნის ფორმები:

| დასველება | | | |
|-----------|--------------|-----------------|---------------|
| | ახლანდელი | მომავალი | წარსული |
| მე | ვ-სველდები | და-ვ-სველდები | და-ვ-სველდი |
| შენ | სველდები | და-სველდები | და-სველდი |
| ის | სველდებ-ა | და-სველდებ-ა | და-სველდ-ა |
| ჩვენ | ვ-სველდები-თ | და-ვ-სველდები-თ | და-ვ-სველდი-თ |
| თქვენ | სველდები-თ | და-სველდები-თ | და-სველდი-თ |
| ისინი | სველდები-ან | და-სველდები-ან | და-სველდ-ნენ |

| თამაში | | | |
|--------|-------------|--------------|----------------|
| | ახლანდელი | მომავალი | წარსული |
| მე | ვ-თამაშობ | ვ-ითამაშებ | ვ-ითამაშე |
| შენ | თამაშობ | ითამაშებ | ითამაშე |
| ის | თამაშობ-ს | ითამაშებ-ს | ითამაშ-ა /მან |
| ჩვენ | ვ-თამაშობ-თ | ვ-ითამაშებ-თ | ვ-ითამაშე-თ |
| თქვენ | თამაშობ-თ | ითამაშებ-თ | ითამაშე-თ |
| ისინი | თამაშობ-ენ | ითამაშებ-ენ | ითამაშ-ეს /მათ |



კროსვორდი

ჩაწერეთ ამინდის აღმნიშვნელი სიტყვები!

| | | | | | | | | | | | |
|---|--|---|---|---|---|---|---|---|---|---|--|
| | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | ო | | | დ | |
| | | | ც | | | წ | ვ | | | ა | |
| ქ | | რ | | | | | | | | რ | |
| | | | ს | | ა | მ | ი | ნ | დ | ი | |
| | | | | | | | | | | | |
| | | | რ | | ბ | | წ | | | | |
| | | | | | | | | | | | |
| | | | ყ | | ნ | | ა | | | | |
| | | | ე | | | | | | | | |
| | | ს | | ი | | | | | | | |
| | | | ა | | | | | | | | |

- პასუხები: 1. ამინდი 2. დარი 3. მზე 4. ღრუბელი 5. ყინვა
 6. თოვლი 7. ნისლი 8. წვიმა 9. ქარი 10. ცისარტყელა

თავის ძირითადი სიტყვები და ფრაზები:

ამინდი თბილი
 დარი ცივი
 ავდარი ცხელი
 თოვლი გრილი
 წვიმა ნესტიანი
 ქარი წვიმიანი
 ნისლი ღრუბლიანი
 ყინვა
 ღრუბელი
 პროგნოზი
 თერმომეტრი
 გრადუსი

თბილა
 ცხელა
 გრილა
 ცივა
 წვიმს
 თოვს
 ყინავს
 დასველება
 თამაში

საკმაოდ
 ხშირად
 იშვიათად
 დღეს როგორი
 ამინდია?
 ამინდი იცვლება.
 ქარი ქრის...





თავი 2.

მე მიყვარს ცხოველები



✓ ცხოველები

✓ ფრინველები

✓ „რომ“ კავშირიანი კონსტრუქციები

✓ ზმნები (ჯდომა, თქმა, დათვალიერება)

✓ ხმიანობის გამომხატველი ზმნები

(ყეფს, კნავის, ჭიხვინებს, ყივის, გალობს, ჭიკჭიკებს...)





1. მოისმინეთ სიტყვები! 

1. ძაღლი

2. ქათამი

3. ცხენი

4. კატა

5. ინდაური

6. ძროხა

7. სპილო

8. ლომი

9. მამალი

10. ჩიტო

11. წიწილა





12. ცხვარი




13. კურდღელი

14. იხვი

15. არწივი

2. მოსმენილი სიტყვები მიუწერეთ შესაბამის სურათებს! 





3. გაიმეორეთ მოსმენილი სიტყვები! 



კითხვა-გაგება

1.1. წაკითხეთ ტექსტი!



➤ ნანას სოფელი

ნანა არდადეგებზე სოფელში ხშირად დადის ბაბუასთან და ბებუასთან. იქ დიდი და ლამაზი ეზო აქვთ. ჰყავთ შინაური ცხოველები და ფრინველები: ძროხა, ძაღლი, კატა. ბაბუას ცხენიც ჰყავს. თხა და ცხვარი არ ჰყავთ. ეზოში ბევრი ქათამი, წიწილა, იხვი და ინდაურია.

ნანას სოფელთან დიდი ტყე არის. ტყეში მგლები, მელიები და ციყვებია. დათვიც არის ზოგჯერ.

სოფლის სუფთა ჰაერი და ლამაზი ბუნება ნანას ძალიან უყვარს.



1.2. წაკითხული ტექსტის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს!

ა: სად დადის ნანა არდადეგებზე ხშირად?
 ბ:

ა: ვინ ჰყავს ნანას სოფელში?
 ბ:


ა: რომელი შინაური ცხოველი არ ჰყავთ სოფელში?
 ბ:

ა: რომელი შინაური ფრინველები ჰყავთ სოფელში?
 ბ:

ა: ნანას სოფელთან ტყე არის?
 ბ:

ა: ტყეში რომელი გარეული ცხოველებია?
 ბ:

1.3. წაიკითხეთ!





1.4. აღნიშნეთ სწორი პასუხები (✓)!

1. მგელი გარეული ცხოველია.

2. მელისა შინაური ცხოველია.

3. ინდაური შინაური ფრინველია.

4. ბუ გარეული ფრინველია.

➤ დაიმახსოვრეთ!



- ლეკვი = ძაღლის შვილი
- კნუტი = კატის შვილი
- ხბო = ძროხის შვილი
- ბატკანი = ცხვრის შვილი
- კვიცი = ცხენის შვილი
- ბელი = დათვის შვილი
- წიწილა = ქათმის შვილი
- ბარტყი = ჩიტის შვილი



მოსმენა და გაგება

1. მოისმინეთ წინადადებები! 

2. მოსმენილი წინადადებების მიხედვით აღნიშნეთ სწორი პასუხები (✓)! 

| | | სწორია | არასწორია |
|----|---------------------------|--------|-----------|
| 1. | ძროხა შინაური ცხოველია. | ✓ | |
| 2. | მგელი შინაური ცხოველია. | | |
| 3. | ქათამი გარეული ფრინველია. | | |
| 4. | არწივი გარეული ფრინველია. | | |
| 5. | ძაღვი შინაური ცხოველია. | | |

3. მოისმინეთ დიალოგი! 

4. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს! 

1) ახმედს სოფელში რომელი ცხოველები ჰყავს?

.....

2) ახმედს ცხენი ჰყავს?

.....

3) ისაკს ცხენი უყვარს?

.....

4) ახმედის ქალაქში ზოოპარკი არის?

.....

5) ზოოპარკში თეთრი დათვი არის?

.....





5. მოისმინეთ ტექსტი! 

6. მოსმენილი ტექსტის მიხედვით ცხრილში ჩაწერილ სიტყვებს მიუწერეთ ზმნები! 




| | |
|----------|--|
| მადლი | |
| კატა | |
| ცხენი | |
| მამალი | |
| ჩიტო | |
| მერცხალი | |



საუბარი

1. წაიკითხეთ დიალოგი!



➤ ჩვენ გვიყვარს ცხოველები

ირაკლი: ისაკ, მე ძალიან მიყვარს ცხოველები, შენ?

ისაკი: მეც, მაგრამ ცხენი ყველაზე მეტად მიყვარს.

ირაკლი: რატომ, ცხენზე ჯდომა იცი?

ისაკი: ვიცი. მე ხშირად ვჯდები ცხენზე და ვსეირნობ.

ირაკლი: მე არ ვიცი ცხენზე ჯდომა. მე უფრო ძალი მიყვარს, იმიტომ რომ იგი ადამიანის მეგობარია.

ისაკი: ცხენიც არის ადამიანის მეგობარი.

ირაკლი: მაიმუნზე რას იტყვი?

ისაკი: მაიმუნი ბავშვებს ძალიან მოსწონთ, საინტერესო ცხოველია.

ირაკლი: მეც ასე ვფიქრობ.



2. მოცემული სიტყვების გამოყენებით ააგეთ მსგავსი დიალოგი!

აქლემი
მგელი
დათვი
ციყვი



ჩიტი
არწივი
ბელურა
მერცხალი

ცხვარი
თხა
ვირი
კატა



3. მოცემული ზმნების გამოყენებით ისაუბრეთ!

კნავის, ბლავის, ყივის, ყეფს, ჭიხვინებს, კაკანებს, გალობს



★ ხმიანობის გამოხატვა

ძალი ყეფს.
კატა კნავის.
ძროხა ბლავის.
ცხენი ჭიხვინებს.
მგელი ყმუის.

ქათამი კაკანებს.
მამალი ყივის.
ჩიტი გალობს.
მერცხალი ჭიკჭიკებს.
მტრედი ლულუნებს.



წერა

1. წაიკითხეთ ტექსტი!



➤ ზოოპარკში

აიშე და ალი მამასთან ერთად ავტობუსში სხდებიან და ზოოპარკში მიდიან. იქ ბევრი გარეული ცხოველი და ფრინველია. ისინი ათვალიერებენ ყველაფერს. აიშეს ყველაზე მეტად ჟირაფი და ფარშევანგი მოსწონს. ორივე ძალიან ლამაზია. ალის ლომი მოსწონს, იმიტომ რომ ლომი ძლიერია. მამა და ბავშვები სახლში კმაცოფილი მიდიან.

2. ტექსტის მიხედვით დასვით შეკითხვები!

- 1)
აიშე და ალი ზოოპარკში მიდიან.
- 2)
ისინი ათვალიერებენ ცხოველებსა და ფრინველებს.
- 3)
აიშეს ჟირაფი და ფარშევანგი მოსწონს.
- 4)
ალის ლომი მოსწონს.
- 5)
ჟირაფი და ფარშევანგი ძალიან ლამაზია.
- 6)
ლომი ძლიერი ცხოველია.



3. ჩაწერეთ ცხრილში შინაური და გარეული ცხოველებისა და ფრინველების სახელები!

მგელი, კურდღელი, თხა, დათვი, მამალი, არწივი, ბელურა, ქათამი, ცხენი, ძროხა, იხვი, ციყვი, მაიმუნი, ინდაური, ირემი, ცხვარი, მელია, ბატი, ჟირაფი, სპილო, ვეფხვი, კატა, ლომი

| შინაური ცხოველი | გარეული ცხოველი | შინაური ფრინველი | გარეული ფრინველი |
|-----------------|-----------------|------------------|------------------|
| ცხენი | | | |
| | ვეფხვი | | |
| | | ინდაური | |
| | | | ბუ |
| | | | |
| | | | |
| | | | |

4. შეუწყვეთ ზმნებს პირის ნაცვალსახელები!


| | |
|-----------------------|--------------------|
| ვათვალერებ | დავათვალერებ |
| ათვალერებენ | დაათვალერეს |
| დაათვალერა მან | ათვალერებ |
| ათვალერებთ | დაათვალერებთ |
| ათვალერებს | დავათვალერე |





გრამატიკა

1. ზმნისწინი



ბავშვი კიბეზე ადის.
 ღია მეორე სართულზე ლიფტით ჩადის.
 მოსწავლე საკლასო ოთახიდან გადის.
 ზამთარში დათვი ბუნაგში შედის.
 დედა ქალაქში ავტობუსით მიდის.
 მამა სახლში მანქანით მოდის.
 მზე აღმოსავლეთიდან ამოდის.
 ჩემი მშობლები გერმანიიდან ჩამოდიან.

| ახლანდელი დრო | მომავალი დრო |
|---------------|--------------|
| წერს | და-წერს |
| კითხულობს | წა-კითხავს |
| აკეთებს | გა-აკეთებს |
| აშენებს | ა-აშენებს |
| ამზადებს | მო-ამზადებს |

2. „რომ“ კავშირიანი კონსტრუქციები

ძალიან მიყვარდა, რომ ქართული ენა კარგად ვისწავლო.
 მე ვფიქრობ, რომ ყველას უყვარს ცხოველები.
 დილა რომ გათენდება, ზოოპარკში წავალთ.
 რომ ვიმეცადინებ, შემდეგ ვისეირნებ.





3. ფუძემონაცვლე ზმნები (ჯდომა, თქმა)



ჯდ-ომა – სხდ-ომა



მე ვჯდები...

ჩვენ ვსხდებით...

მე ვზივარ...

ჩვენ ვსხედვართ...

ანა ახლა ტრანსპორტში **ჯდება** და ზოოპარკში მიდის.

ესმა უკვე ავტობუსში **ზის** და სახლში მიდის.

ჩიტი ხეზე **ჯდება**.

მერცხლები ბუდეში **სხდებიან**.

რატომ **დაჯექი** ჩემს მერხზე?

ჩვენ მანქანაში **ვსხდებით**.

ბავშვი მაგიდასთან **ზის**.

მგზავრები ავტობუსში **სხედან**.

აიშე, **დაჯექი!**

აქ არ **დაჯდე**, ნინო ზის!

ამ სკამზე არავინ არ **დაჯდეს!**

მობრძანდით, **დასხედით!**

ისინი აქ არ **დასხდნენ!**



თქმა

ვამბობ

ვიტყვი

ვთქვი

რას **ამბობ**, ფატმა?

რა **თქვა** ლიამ?

რას **იტყვის** დედა?

მამამ **თქვა**, რომ ხვალ

ზოოპარკში წავალთ.

ჩვენ ახლა ბევრ ახალ

სიტყვას **ვამბობთ**.



4. ზმნის ფორმები:

| ჯღომა – სხღომა | | | | |
|----------------|------------|-------------|---------------|--------------|
| | ახღანდელი | | მომავალი | წარსული |
| მე | ვ-ჯდები | ვ-ზივარ | და-ვ-ჯდები | და-ვ-ჯექი |
| შენ | ჯდები | ზიხარ | და-ჯდები | და-ჯექი |
| ის | ჯდებ-ა | ზი-ს | და-ჯდებ-ა | და-ჯდ-ა |
| ჩვენ | ვ-სხდები-თ | ვ-სხედვარ-თ | და-ვ-სხდები-თ | და-ვ-სხედი-თ |
| თქვენ | სხდები-თ | სხედხარ-თ | და-სხდები-თ | და-სხედი-თ |
| ისინი | სხდები-ან | სხედ-ან | და-სხდები-ან | და-სხდ-ნენ |

| თქმა | | | |
|-------|-----------|-----------|----------|
| | ახღანდ. | მომავალი | წარსული |
| მე | ვ-ამბობ | ვ-იტყვი | ვ-თქვი |
| შენ | ამბობ | იტყვი | თქვი |
| ის | ამბობ-ს | იტყვი-ს | თქვ-ა |
| ჩვენ | ვ-ამბობ-თ | ვ-იტყვი-თ | ვ-თქვი-თ |
| თქვენ | ამბობ-თ | იტყვი-თ | თქვი-თ |
| ისინი | ამბობ-ენ | იტყვი-ან | თქვ-ეს |





კროსვორდი

ჩაწერეთ ცხოველებისა და ფრინველების სახელები!

| | | | | | | | | | | | | |
|---|--|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ძ | | ღ | | ო | | | | | |
| | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | ე | | | | ბ | |
| | | | ხ | | | | ე | | ი | | | |
| ც | | ვ | | რ | | | ო | | | | ტ | |
| | | | | | ხ | | | თ | | | | |
| ე | | | | | | ე | | ხ | | ი | | |
| | | | | | ი | | | ა | | | | |
| ი | | | მ | | | | | | | ღ | | დ |
| | | | | | ქ | | ა | | კ | | | ა |
| | | | ე | | | | | | უ | | | თ |
| | | | | | თ | | წ | | | | | ვ |
| | | ქ | | რ | | | | | ი | | | ი |
| | | | | | მ | | | | მ | | | |
| | | | | წ | | | ი | | | | | |
| | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | ა | | | |
| | | | კ | | რ | | ღ | | | ი | | |
| | | | | | | | | | ი | | | |

პასუხები:

- ქათამი
- თხა
- პროხა
- კურდღელი
- დათვი
- ჟირაფი
- წიწილა
- მგელი
- ინდაური
- ბატი
- მამალი
- არწივი
- ცხენი
- ძაღლი
- მელია
- კატა
- ირემი
- ვეფხვი
- ცხვარი
- იხვი

თავის ძირითადი სიტყვები და ფრაზები:

| | |
|----------|---------|
| ცხოველი | გარეული |
| ფრინველი | შინაური |
| პროხა | სუსტი |
| კატა | ძლიერი |
| ცხენი | ნელი |
| თხა | სწრაფი |
| ცხვარი | მგელი |
| დათვი | კნუტი |
| მაიმუნი | ლეკვი |
| ქათამი | წიწილა |
| არწივი | ხბო |

ჯდომა
სხდომა
თქმა
დათვალიერება

ძაღლი ყეფს
კატა კნავის
პროხა ზღავის
ცხენი ჭიხვიანებს
მგელი ყმუის
ქათამი კაკანებს
მამალი ყივის
ჩიტი გალობს
მერცხალი
ჭიკჭიკებს
მტრედი
ღუღუნებს



თავი 3.

ხილი და ბოსტნეული

✓ ხილი

✓ ბოსტნეული

✓ ბაზარში

✓ მარკეტში

✓ საყიდლებზე (რა ღირს? რა ფასიანია? || რამდენი უნდა? || რამდენი უნდა გადავიხადო?..)

✓ ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები

✓ ვითარების ზმნიზედა (იაფად, ძვირად, უკეთესად, უარესად...)

✓ თავაზიანი ფორმები (რა გნებავთ? რა მოგართვათ? თუ შეიძლება ამიწონეთ! || გთხოვთ, ამიწონეთ! მომსახურებით კმაყოფილი ვარ! ისევ გელოდებით!)

✓ ზმნები (ყიდვა, გაყიდვა, აწონვა, გადახდა)















1. მოისმინეთ სიტყვები! 

- 1. ვაშლი 2. მარწყვი 3. მსხალი 4. ატამი 5. ბალი
- 6. საზამთრო 7. ყურძენი 8. ლიმონი 9. ფორთოხალი
- 10. პომიდორი 11. კარტოფილი 12. ხახვი 13. ბადრიჯანი
- 14. ლობიო 15. კიტრი 16. კომბოსტო 17. ბარდა 18. სტაფილო

2. მოსმენილი სიტყვები მიუწერეთ შესაბამის სურათებს! 





3. გაიმეორეთ მოსმენილი სიტყვები! 



კითხვა-გაგება

1.1. წაიკითხეთ დიალოგი!



➤ ბაზარში

გამყიდველი: მობრძანდით, ახალი ხილი და ბოსტნეული გვაქვს. რა გნებავთ?

მყიდველი: ორი კგ კარტოფილი, ერთი კგ ბადრიჯანი, ნახევარი კგ სტაფილო და ორი კგ ვაშლი. მარწყვი რა ღირს?

გამყიდველი: მარწყვი ოთხი ლარი ღირს.

მყიდველი: ერთი კგ მარწყვიც ამიწონეთ!

გამყიდველი: ახლავე აგიწონით. სხვა ხომ არაფერი გნებავთ?

მყიდველი: მწვანელიც მინდა. თუ შეიძლება, მომეცით ორი შეკვრა ოხრახუში და ერთი შეკვრა მწვანე ხახვი.

გამყიდველი: ინებეთ!

მყიდველი: რამდენი უნდა გადავიხადო?

გამყიდველი: სულ თორმეტი ლარი.



კილოგრამი = კგ = კილო
გრამი = გ

➤ დაიმახსოვრეთ!

რამდენი უნდა
 ↳ გადავიხადო/-თ? (მე, ჩვენ)
 ↳ გადაიხადო/-თ? (შენ, თქვენ)
 ↳ გადაიხადოს/-ნ? (მან, მათ)

1.2. დიალოგის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს!

რისი ყიდვა უნდა მყიდველს?

1)

რამდენ კილოგრამ კარტოფილს ყიდულობს მყიდველი?

2)

რამდენ შეკვრა მწვანე ხახვს ყიდულობს მყიდველი?

3)

ბაზარში ხილი და ბოსტნეული ახალია თუ ძველი?

4)

რამდენ ლარს იხდის მყიდველი?

5)


1.3. დაწერეთ დიალოგში გამოყენებული ხილისა და ბოსტნეულის სახელები!

ხილი:

ბოსტნეული:



2.1. წაიკითხეთ დიალოგი!



➤ სუპერმარკეტში

აიშე: მამა, სად ხარ?

ბატონი ახმედი: აიშე, სუპერმარკეტში ვარ, ხილისა და ბოსტნეულის ყიდვა მინდა. შენ რომელი ხილი გინდა?

აიშე: საზამთრო და ნესვი მინდა. თუ ახალი მარწყვი იქნება, ისიც, ძალიან მიყვარს...

ბატონი ახმედი: ამ მარკეტში ყოველთვის ახალი და საუკეთესო ხილია.

აიშე: ძალიან კარგი.

ბატონი ახმედი: რომელი ბოსტნეული გინდა?

აიშე: სტაფილო, ჭარხალი, ბარდა, კომბოსტო, კიტრი და პომიდორი.

ბატონი ახმედი: კარგი, ყველაფერს ვიყიდი და მალე მოვალ.

2.2. დიალოგის მიხედვით აღნიშნეთ სწორი და არასწორი პასუხები (✓)!

| | | სწორია | არასწორია |
|----|---|--------|-----------|
| 1. | ბატონი ახმედი სუპერმარკეტშია. | ✓ | |
| 2. | ბატონ ახმედს ხილისა და ბოსტნეულის ყიდვა უნდა. | | |
| 3. | აიშეს უნდა საზამთრო, ატამი და ნესვი. | | |
| 4. | აიშეს კიტრი და პომიდორი არ უნდა. | | |
| 5. | სუპერმარკეტში ზოგჯერ ახალი ხილია, ზოგჯერ – ძველი. | | |



2.3. დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს!

1) ბატონი ახმედი ბაზარში მიდის?
.....

2) რომელი ხილი უყვარს აიშეს?
.....

3) რომელ ბოსტნეულს ყიდულობს ბატონი ახმედი?
.....

4) აიშეს ჭარხალი და კიტრი უნდა?
.....

★ რა ღირს?

| | |
|-------------------------|---------------------------------|
| ა: რა ღირს 1 კგ თუთა? | ა: ბაზარში ჟოლო ძვირია თუ იაფი? |
| ბ: 1 კგ თუთა 3 ლარია. | ბ: ჟოლო ცოტა ძვირია. |
| ა: რა ღირს 1 კგ ბოლოკი? | ა: სხვა ხილი ძვირია? |
| ბ: 1 კგ ბოლოკი 2 ლარია. | ბ: სხვა ხილი ძვირი არ არის. |

★ ეს რა ხილია?
ეს რა ბოსტნეულია?



| | |
|-----------------|----------------------|
| ა: ეს რა ხილია? | ა: ეს რა ბოსტნეულია? |
| ბ: ეს ბანანია. | ბ: ეს კარტოფილია. |






მოსმენა და გაგება

1. მოისმინეთ! 



2. ჩაწერეთ მოსმენილი სიტყვები და ფასები! 

| | |
|---------------|-----------|
| ხილ-ბოსტნეული | ფასი |
| | 2 ლარი |
| ბალი | |
| | 0,50 ლარი |
| კიტრი | |
| | 3 ლარი |
| კარტოფილი | |

3. მოისმინეთ წინადადებები! 

4. უპასუხეთ მოსმენილი წინადადებების მიხედვით! 

1) ხილი უფრო ძვირია თუ ბოსტნეული?

.....

2) ქლიავი უფრო იაფია თუ ატამი?

.....

3) გარგარი უფრო ძვირია თუ ატამი?

.....

4) ნესვი უფრო ძვირია თუ საზამთრო?

.....

5) ხახვი უფრო იაფია თუ ნიორი?


.....

6) ოხრახუში უფრო იაფია თუ პიტნა?

.....



5. მოისმინეთ დიალოგი! 

6. მოსმენილი დიალოგის მიხედვით აღნიშნეთ სწორი პასუხები (✓)! 

1. სად მიდის შულე?

ბაზარში

სუპერმარკეტში

2. სად არის დაბალი ფასი?

მარკეტში

ბაზარში

3. რის საყიდლად მიდის მარიამი?

ხახვის

კარტოფილის





საუბარი

1. წაიკითხეთ დიალოგი!



ლეილა : ანა, ბაზარში ხარ?

ანა : დიახ, ბაზარში ვარ.

ლეილა : ხილი ძვირია თუ იაფი?

ანა : ხილიც საკმაოდ იაფია და ბოსტნეულიც.

ლეილა : შენ რას ყიდულობ?

ანა : კიტრს, პომიდორს, ბულგარულ წიწაკასა და მწვანელს.

ლეილა : ატამი, გარგარი და მაცვალი რა ღირს?

ანა : ატამი და გარგარი ოთხი ლარია, მაცვალი – 3 ლარი. თუ გინდა, შენთვისაც ვიყიდი.

ლეილა : კარგი. თითო კილოგრამი ატამი და გარგარი მინდა. მადლობა!

ანა : არაფრის!



2. ქვემოთ მოცემული სიტყვებით ააგეთ მსგავსი დიალოგები!

მარკეტი
საშუალო
ობრახუმი
ლობიო

სუპერმარკეტი
მაღალი
კარტოფილი
სალათა

ბაზარი
იაფი
ნიგოზი
თხილი

ა.
ბ.
ა.
ბ.

ა.
ბ.
ა.
ბ.

ა.
ბ.
ა.
ბ.

3. მოცემული ფასების მიხედვით ააგეთ დიალოგი!

1 კგ კარტოფილი – 1,5 ლარი
10 კგ კარტოფილი – 13 ლარი
1 კგ ბანანი – 4 ლარი
5 კგ ხახვი – 5 ლარი
1 კგ ყურძენი – 4,5 ლარი
1 კგ წიწაკა – 3 ლარი
1 კგ მსხალი – 3,5 ლარი



ნიმუში:

ა: რა ღირს 1 კგ ბანანი?
ბ: 1 კგ ბანანი ოთხი ლარი ღირს.

★ თავაზიანი ფორმები

რა გნებავთ?
რა მოგართვათ?
თუ შეიძლება, ამიწონეთ! ||
გთხოვთ, ამიწონეთ!
ინებეთ!
მომსახურებით კმაყოფილი ვარ!



წერა

1. წაიკითხეთ ტექსტი და დაწერეთ დიალოგი!

აიშეს ოჯახში ხილი ყველას უყვარს. აიშეს ყველაზე მეტად მარწყვი უყვარს. მის უმცროს დას, ესმას – გარგარი და ატამი.

აიშეს სახლთან ბაზარი ახლოს არის. დედა შვილებისთვის ყოველთვის ყიდულობს ახალ ხილს.

ა:

ბ:



ა:

ბ:

ა:

ბ:

2. დაწერეთ, ჩამოთვლილთაგან რომელი ხილი და ბოსტნეული გიყვართ!





ხილი :

ბოსტნეული :

3. წაიკითხეთ ტექსტი და ქვემოთ მოცემული ხილისა და ბოსტნეულის ფასების მიხედვით უპასუხეთ!

ნიკა და ახმედი მარკეტში არიან.
ნიკამ იყიდა: 2 კგ ვაშლი, 1 კგ გარგარი, 3 კგ საზამთრო,
2 კგ კარტოფილი და 1 კგ ბადრიჯანი.
ახმედმა იყიდა: 1 კგ მსხალი, 4 კგ საზამთრო, 2 კგ
ატამი, 1 კგ ლობიო და ნახევარი კგ ოხრახუმი.

- 1 კგ ვაშლი – 2.5 ლირა
- 1კგ მსხალი – 3.5 ლირა
- 1კგ ბროწეული – 4 ლირა
- 1 კგ საზამთრო – 0.50 ლირა
- 1კგ ნესვი – 2 ლირა
- 1კგ ატამი – 3 ლირა
- 1 კგ გარგარი - 5 ლირა

- 1 კგ ლობიო – 4 ლირა
- 1 კგ კარტოფილი – 1.5 ლირა
- 1 კგ ნიორი – 7 ლირა
- 1 კგ ხახვი – 1.5 ლირა
- 1 კგ ბადრიჯანი – 3 ლირა
- 1 კგ სტაფილო – 2 ლირა
- 1 კგ ოხრახუმი – 6 ლირა

- ა: სულ რამდენი ლირა უნდა გადაიხადოს ნიკამ?
- ბ:
- ა: სულ რამდენი ლირა უნდა გადაიხადოს ახმედმა?
- ბ:





4. ჩაწერეთ ცხრილში, წელიწადის რომელ დროს რომელი ხილია!

| | |
|-----------|--|
| გაზაფხული | |
| ზაფხული | |
| შემოდგომა | |
| ზამთარი | |

ანდაზა:


„ერთი თხილის გული
ცხრა მმამ გაიყო!“





გრამატიკა

1. ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები



დიდი – მო-დიდ-ო – უ-დიდ-ეს-ი
 მაღალი – მო-მაღლ-ო – უ-მაღლ-ეს-ი
 თეთრი – მო-თეთრ-ო – უ-თეთრ-ეს-ი
მაგრამ:
 კარგი – უკეთესი
 ცუდი – უარესი

ის მოდიდო საზამთრო მინდა.
 ვაშლს მოწითალო ფერი აქვს.
 ეს კარტოფილი კარგი არ არის, ის უკეთესია.

2. ვითარების ზმნიზედა

როგორ? \implies იაფად, ძვირად, კარგად, ცუდად...

ძვირ-ად (< ძვირი)
 იაფ-ად (< იაფი)
 ძვირად \neq იაფად
 უკეთესად (< უკეთესი)
 უარესად (< უარესი)
 უკეთესად \neq უარესად

მარიამი სუპერმარკეტში
 ბოსტნეულს ძვირად ყიდულობს.
 შულე ხილს ბაზარში უფრო
 იაფად ყიდულობს.
 გუმინ ცუდად ვიყავი, დღეს
 უკეთესად (უკეთ) ვარ.





3. ზმნის ფორმები:

| ყიდვა | | | |
|-------|-------------|-----------|---------------|
| | ახლანდელი | მომავალი | წარსული |
| მე | ვ-ყიდულობ | ვ-იყიდი | ვ-იყიდე |
| შენ | ყიდულობ | იყიდი | იყიდე |
| ის | ყიდულობ-ს | იყიდი-ს | იყიდ-ა / მან |
| ჩვენ | ვ-ყიდულობ-თ | ვ-იყიდი-თ | ვ-იყიდე-თ |
| თქვენ | ყიდულობ-თ | იყიდი-თ | იყიდე-თ |
| ისინი | ყიდულობ-ენ | იყიდი-ან | იყიდ-ეს / მათ |

ბრძანებითის ფორმები:

ზაფერ, მარკეტში ხილი იყიდე,
 ბოსტნეული არ იყიდო!
 მამამ იყიდოს კარტოფილი,
 დედამ არ იყიდოს!





კროსვორდი

ჩაწერეთ ხილისა და ბოსტნეულის სახელები!

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|--|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | ბ | | ნ | | ნ | |
| | | | | | | პ | | | | | | | | |
| | | კ | | რ | | ო | | | ლ | | | | ს | |
| | | | ტ | | | | | | | | ბ | | | კ |
| | | ხ | | ხ | ვ | ი | | ნ | | ლ | ო | | ი | |
| | | | მ | | | | | | | | ს | | | მ |
| კ | | ვ | | | ქ | | ლ | | | | ტ | | | |
| | | | | ს | | რ | | | | | ნ | | | ო |
| | | კ | | | | | | ი | | | ე | | | |
| | | | | ა | | | | | | | უ | | | |
| | | | | | | | | | ხ | ი | ლ | ი | | ო |
| | | ქ | | ი | | ვ | | | | | ი | | მ | |
| ბ | | | | ლ | | | | | ვ | | | | | |
| | | | ფ | | რ | | ო | | ა | | ი | | ხ | |
| რ | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | ა | ლ | | ბ | | | ი |
| ა | | ა | | ა | | ი | | | | | | | ი | |

- პასუხები:** 1. ბოსტნეული 2. ხილი 3. სტაფილო 4. ბანანი 5. ვაშლი 6. მსხალი
 7. ლობიო 8. ბარდა 9. ანანასი 10. ნიორი 11. ჟოლო 12. კომბოსტო
 13. კარტოფილი 14. კივი 15. ხახვი 16. ატამი 17. ქლიავი
 18. კიტრი 19. ბალი 20. ნესვი



თავის ძირითადი სიტყვები და ფრაზები:

| | |
|-----------|------------|
| ხილი | იაფი |
| ბოსტნეული | ძვირი |
| ვაშლი | ხარისხიანი |
| მსხალი | უხარისხო |
| ატამი | მყიდველი |
| გარგარი | გამყიდველი |
| ქლიავი | |
| ხახვი | |
| კარტოფილი | |
| ნიორი | |
| ლობიო | |
| ბადრიჯანი | |
| მწვანელი | |
| კილოგრამი | |
| ფასი | |
| წონა | |

ყიდვა
 გაყიდვა
 აწონვა
 გადახდა

რა ღირს?
 თუ შეიძლება,
 ამიწონეთ!
 მომსახურებით
 კმაყოფილი ვარ!
 ისევ გელოდებით!
 რა ფასიანია?
 რამდენი უნდა
 გადავიხადო?
 რა გნებავთ?
 რა მოგართვათ?





თავი 4. რას მიირთმევთ?

- ✓ საჭმელი
- ✓ სასმელი
- ✓ ჭურჭელი
- ✓ სამზარეულოში
- ✓ კაფეში
- ✓ ურყოფითი ნაცვალსახელები (არავინ, ვერავინ, არაფერი, ვერაფერი)
- ✓ -ეულ, -ობა სუფიქსიანი სახელები
- ✓ კომპოზიტები
- ✓ ფრაზები (სტუმრად წასვლა, სტუმრად ყოფნა, სუფრის გაშლა)
- ✓ თავაზიანი ფორმები (რას მიირთმევთ? მიირთვით! გემრიელად მიირთვით!)
- ✓ ზმნები (ჭამა, დალევა, შეწვა, მოხარშვა, გამოცხობა, ადუღება, მშია, მწყურია)



1. მოისმინეთ სიტყვები და გაიმეორეთ! 

1. პური

2. ყველი

3. ხორცი

4. ქათმის ხორცი

5. თევზი

6. კარაქი

7. ზეთისხილი

8. შაქარი

9. მარილი

10. მაკარონი

11. კვერცხი

12. ხაჭაპური

13. ჩაი

14. ყავა

15. რძე

16. ხილის წვენი



17. შოკოლადი



18. ტორტი

19. ნაყინი

20. ბრინჯი

2. მოსმენილი სიტყვები მიუწერეთ შესაბამის სურათებს! 







კითხვა-გაგება

1.1. წაიკითხეთ ტექსტი!



➤ ახალი სუპერმარკეტი

ქალაქის ცენტრში ახალი სუპერმარკეტია. აიშეს დედასა და მამას, ქალბატონ ზეჰრასა და ბატონ მეჰმედს ეს სუპერმარკეტი ძალიან მოსწონთ. აქ ფასები მაღალია, მაგრამ სულ ახალი და ხარისხიანი პროდუქტებია, უხარისხო არაფერი არ არის. კვირა დღეს ისინი სუპერმარკეტში ერთად მიდიან და სახლისთვის ყიდულობენ: ხორცს, ქათამს, თევზს, ყველს, ბრინჯს, ხილს, ბოსტნეულს. შემდეგ სასმელებისა და ტკბილეულის განყოფილებაში შედიან და ყიდულობენ: მინერალურ წყალს, ლიმონათს, ნამცხვარსა და შოკოლადს. სუპერმარკეტში ყველაზე ძვირი ხორცია. იგი 30-32 ლირა ღირს.

აიშეს ოჯახში სტუმრები ხშირად დადიან. ამიტომ მაცივარი სულ სავსე აქვთ პროდუქტებით.



1.2. ტექსტის მიხედვით აღნიშნეთ სწორი და არასწორი პასუხები (✓)!

| | | სწორია | არასწორია |
|----|--|--------|-----------|
| 1. | სუპერმარკეტში ხარისხიანი პროდუქტებია. | ✓ | |
| 2. | სუპერმარკეტში დაბალი ფასებია. | | |
| 3. | ხორცი ყველაზე იაფია. | | |
| 4. | აიშეს ოჯახში სტუმრები ხშირად არიან. | | |
| 5. | აიშეს მშობლები სუპერმარკეტში კვირას არ დადიან. | | |

1.3. დაწერეთ, რა იყიდეს აიშეს მშობლებმა სუპერმარკეტში!

საჭმელი:

სასმელი:

2.1. წაიკითხეთ დიალოგი!

შულე : ღია, სადამოს სტუმრები გყავთ?

ღია : დიახ, სტუმრები გვყავს.

შულე : კერძებს ვინ ამზადებს?

ღია : კერძებს დედა და ბებია ამზადებენ: დედა ხორცს ხარშავს და ქათამს წვავს, ბებია ხაჭაპურს აცხობს.

შულე : მამა რას აკეთებს?

ღია : მამა ხორცეულსა და პურს ჭრის.

შულე : შენ?

ღია : მე სუფრას ვშლი.

შულე : ყოჩაღ!

ღია : მადლობა!



2.2. დიალოგის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს!


- 1) როდის ჰყავს ლიას სტუმრები?
.....
- 2) რას აკეთებს დედა?
.....
- 3) რას აკეთებს ბებია?
.....
- 4) ხორცეულს ვინ ჭრის?
.....
- 5) ვინ შლის სუფრას სტუმრებისთვის?
.....

❖ დამახსოვრეთ!



საჭმელი > საჭმელ-სასმელი
 სასმელი >

სავსე ≠ ცარიელი
 ხარისხიანი ≠ უხარისხო





მოსმენა და გაგება




1. მოისმინეთ დიალოგი! 🎧
2. მოსმენილის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს! 🎧
 - ა: რა ღირს პური?
 - ბ:
 - ა: რა ღირს ერთი კგ ყველი?
 - ბ:
 - ა: რა ღირს ერთი კგ ბრინჯი?
 - ბ:
 - ა: ცხვრის ხორცი უფრო ძვირია თუ ქათმის?
 - ბ:
 - ა: სად არის გემრიელი მაწონი?
 - ბ:
 - ა: ბაზარში ბევრი ახალი თევზია?
 - ბ:
3. მოისმინეთ წინადადებები! 🎧
4. მოსმენილი წინადადებების მიხედვით შეავსეთ ცხრილი! 🎧

| № | სახელი | საჭმელი, სასმელი | სად ყიდულობს? |
|----|--------|------------------|---------------|
| 1. | შულე | | ბაზარში |
| 2. | ანა | | |
| 3. | სონერი | | |
| 4. | ნიკა | ლიმონათი | |



საუზმარი



1. წაიკითხეთ ტექსტი!

➤ რას მიირთმევს ანა?

ანა ყოველ დილით ადრე საუზმობს და მიდის სკოლაში. მას ძალიან უყვარს მოხარშული კვერცხი, შემწვარი კარტოფილი, ყველი, ზეთისხილი, კარაქიანი პური ჯემით. ზოგჯერ ჩაის სვამს, ზოგჯერ – ცხელ რძეს ან ხილის წვენს.

ანა სკოლიდან მოსვლის შემდეგ ოჯახის წევრებთან ერთად სადილობს. სადილად აქვთ გემრიელი კერძები: წვნიანი, ქაბაბი და ფლავი, ბოსტნეულის სალათი, ზოგჯერ კარტოფილიანი ან ხორციანი ღვეზელი, შემწვარი ქათამი, მაკარონი, ლობიო. ანას ტკბილეულიც უყვარს. დედა მისთვის ყოველთვის ყიდულობს ნამცხვარს, შოკოლადს, კანფეტებს.

სადამოს ვახშმად ანა უფრო მეტად ხილსა და მაწონს მიირთმევს, ჩაის სვამს ნამცხვრით ან მურაბით. მას ძალიან უყვარს გემრიელი საჭმელები.



2. წაკითხული ტექსტის მიხედვით ააგეთ დიალოგი!

ნიმუში:

ა. ანა ყოველ დღით საუზმობს?

ბ:

ა:

ბ:

ა:

ბ:

ა:

ბ:

ა:

ბ:

3. გამოიყენეთ მოცემული სიტყვები და ისაუბრეთ კვების რეჟიმის შესახებ!

საუზმე
ყველი
ძეხვი
ჩაი...

სადილი
წვნიანი
შემწვარი
ხორცი...

ვახშამი
ფლავი
ღვეზელი
მაწონი...

4. უპასუხეთ შეკითხვებს!

1) რომელი საჭმელი გიყვართ ყველაზე მეტად?

.....

2) რომელი ხილის წვენი მოგწონთ?

.....

3) ტკბილეულს სადილად მიირთმევთ თუ ვახშმად?

.....

4) ლიმონიანი ჩაი უფრო გემრიელია თუ მურაბიანი?


.....

5) რომელი კერძია თქვენს ქალაქში (სოფელში) ცნობილი?

.....




❖ დაიმახსოვრეთ!



★ რით ვჭამთ? რით ვსვამთ? რა გნებავთ?

საჭმელს დანა-ჩანგლითა და კოვზით ჭამენ.
 წყალს, ჩაის, ყავას, ხილის წვენს... ჭიქით სვამენ.
 პურს, ყველს, ხორცს, ძეხვს... დანით ჭრიან.


რა გნებავთ? (= რა გინდათ?)
 რას მიირთმევთ? (= რას შეჭამთ?)
 მიირთვით! (= ჭამეთ!)





წერა

1. შეავსეთ ცხრილი!



| საჭმელი | სასმელი | ბოსტნეული | ხილი | ტკბილეული |
|---------|-------------|-----------|-------|-----------|
| | | | | |
| ყველი | | | ვაშლი | |
| | ხილის წვენი | | | |
| | | კარტოფილი | | |
| | | | | ჰალვა |

2. წაიკითხეთ ტექსტი!

კაფეში

ზაფერი და ნიკა მეგობრები არიან. გაკვეთილების შემდეგ ისინი სკოლის ახლოს კაფეში მიდიან. მენიუმში ბევრი გემრიელი კერძი და დესერტია. ზაფერს ხორციანი ღვეზელი და ლიმონიანი ჩაი უნდა, ნიკას – ხაჭაპური და ხილის წვენი. ბოლოს ზაფერი დესერტად ნამცხვარს ჭამს, ნიკა – შოკოლადიან ნაყინს.

მეგობრები მიმტანის მომსახურებით კმაყოფილი არიან.



3. ტექსტის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს!

მიმტანი: რას მიირთმევთ?

ზაფერი:

ნიკა:

მიმტანი: დესერტი გნებავთ?

ზაფერი:

ნიკა:

მიმტანი: გემრიელად მიირთვით!

ზაფერი:

ნიკა:

4. დააკავშირეთ სიტყვები!

| | |
|---------|---------|
| პური | ჩანგალი |
| ჩაი | ჭიქა |
| ქაბაბი | კოვზი |
| წვნიანი | დანა |
| წყალი | თევში |
| საჭმელი | ფინჯანი |

5. მოცემული სიტყვებით შეადგინეთ წინადადებები!

1) ზაფხულში / ჭამენ / ბევრ / ხილის / ბავშვები / ნაყინს

.....

2) ამზადებს / გემრიელ / კიტრისა / ბებია / მწნილს / და / კომბოსტოს

.....

3) ოჯახში / ბურღულის / ჭამს / ფლავს / ჩვენს / ყველა

.....

4) დილა-საღამოს / ადუღებს / გემრიელ / დედა / ჩაის

.....

5) ზეითუნის ზეთი / სუფრაზე / მარილი / ზეთისხილი / არის / და / ყოველთვის

.....



გრამატიკა

1. ნაცვალსახელი (არავინ, არაფერი, ვერავინ, ვერაფერი)

არავინ = არა + ვინ
 არაფერი = არა + ფერი
 ვერავინ = ვერა + ვინ
 ვერაფერი = ვერა + ფერი

სახლში **არავინ** არ არის?
 საყიდლებზე **ვერავინ** ვერ მიდის?
 დღეს ახალი **არაფერია**.
ვერაფერი ვერ ვიყიდე.

2. -ეულ, -ობა სუფიქსიანი სახელები

.....+ -ეულ
 + -ობა

ბოსტნეულის წვნიანი გემრიელია.
 ჩვენს ოჯახში **ხორცეული** ყველას უყვარს.
 ფატმას **ტკბილეული** უფრო მოსწონს.
 სუპერმარკეტში ახალი **ძეხვეულია**.

ჩვენთან **სტუმრობა** ყველას უყვარს.
 ბავშვებო, მოდით, **სადილობის** დროა.
ვახშობის დროს ოჯახის წევრები ერთად სხდებიან.

3. კომპოზიტები

დედ-მამა < დედა და მამა
ცოლ-ქმარი < ცოლი და ქმარი
და-ძმა < და და ძმა
საჭმელ-სასმელი < საჭმელი და სასმელი
ხილ-ბოსტნეული < ხილი და ბოსტნეული

დედ-მამა საყიდლებზე მიდის.
და-ძმა სამზარეულოში სადილობს.
ცოლ-ქმარი რესტორანში ვახშობს.
 სახლის მარჯვნივ **ხილ-ბოსტნეულის** მაღაზიაა.
 მაგიდაზე ბევრი **საჭმელ-სასმელია**.



4. ზმნის ფორმები:

| ჭამა | | | |
|-------|-----------|----------|-------------|
| | ახლანდელი | მომავალი | წარსული |
| მე | ვ-ჭამ | ვ-ჭამ | ვ-ჭამე |
| შენ | ჭამ | ჭამ | ჭამე |
| ის | ჭამ-ს | ჭამ-ს | ჭამ-ა /მან |
| ჩვენ | ვ-ჭამ-თ | ვ-ჭამ-თ | ვ-ჭამე-თ |
| თქვენ | ჭამ-თ | ჭამ-თ | ჭამე-თ |
| ისინი | ჭამ-ენ | ჭამ-ენ | ჭამ-ეს /მათ |

| დალევა | | | |
|--------|-----------|------------|----------------|
| | ახლანდელი | მომავალი | წარსული |
| მე | ვ-სვამ | და-ვ-ლევ | და-ვ-ლიე |
| შენ | სვამ | და-ლევ | და-ლიე |
| ის | სვამ-ს | და-ლევ-ს | და-ლი-ა /მან |
| ჩვენ | ვ-სვამ-თ | და-ვ-ლევ-თ | და-ვ-ლიე-თ |
| თქვენ | სვამ-თ | და-ლევ-თ | და-ლიე-თ |
| ისინი | სვამ-ენ | და-ლევ-ენ | და-ლიე-ეს /მათ |

ბრძანებითის ფორმები:

ესმა, საჭმელი **ჭამე** და სკოლაში **წადი!**
 ახლა ცივა, ნაყინი **არ ჭამოთ!**
 ლიმონიანი ცხელი ჩაი **დალიეთ!**
 ძალიან ცივი წყალი **არ დალიოთ!**



კროსვორდი

ჩაწერეთ საჭმლისა და სასმელის სახელები!

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|--|
| | ქ | | | | პ | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | წ | | პ | |
| | თ | | | | რ | | | | | | | | | |
| კ | | | ა | | | | | | | | ხ | | წ | |
| | მ | | | | | მ | | | ა | რ | | ნ | | |
| | | | | ს | | | | | | | რ | | | |
| | | წ | | ა | | რ | | ე | | | | | ნ | |
| | | | | ს | | | | | | | ო | | | |
| | ს | ა | ჭ | მ | ე | წ | ო | | | | | | ყ | |
| | | | | ე | | | | | ტ | | რ | | | |
| | | ო | | წ | | | | | | | | | ნ | |
| | | | | ო | მ | | | ა | | ო | | | | |

- პასუხები:** 1. საჭმელი 2. სასმელი 3. წყალი 4. ყველი 5. ხორცი 6. პური
 7. მაკარონი 8. რძე 9. ნაყინი 10. ლიმონათი 11. ფლავი 12. ჩაი
 13. მარილი 14. ტორტი 15. კარაქი 16. ქათამი



თავის ძირითადი სიტყვები და ფრაზები:

საჭმელი
 სასმელი
 კერძი
 პური
 ყველი
 ხორცი
 ქათამი
 თევზი
 ძეხვი
 კაფე
 მარილი
 წყალი
 ხორციული
 ჭურჭელი
 კაფე

სავსე
 ცარიელი
 გემრიელი
 მიმტანი
 არაფინ
 არაფერი

მომსახურება
 ჭამა
 დალევა
 შესვლა
 სიარული
 მომზადება
 შეწვა
 მოხარშვა
 გამოცხობა
 ადუღება

სტუმრად წასვლა
 სტუმრად ყოფნა
 სუფრის გაშლა
 რას მიირთმევთ?
 მიირთვით!
 გემრიელად
 მიირთვით!





თავი 5. ადამიანი პორტრეტი

- ✓ ადამიანი
- ✓ პორტრეტი
- ✓ ბიოგრაფია. ანკეტა
- ✓ მეტყველების ნაწილები
- ✓ თანდებული (შესახებ)
- ✓ კავშირებითი კილო (მინდა ვიყო... უნდა გავაკეთო...)
- ✓ წარსული დროის დაუსრულებელი მოქმედება (უწყვეტელი) (თამაშობდა / არ თამაშობდა... ჩამოდიოდა, სწავლობდა...)
- ✓ ანტონიმური და სინონიმური ზმნები (დაბადება ≠ გარდაცვალება, დაწყება ≠ დამთავრება... გარდაიცვალა = მოკვდა...)
- ✓ ზმნები (მიცემა, დახმარება, მოწვევა, შეხვედრა, სიხარული, გადაღება)
- ✓ ფრაზები (დახმარების / ქველმოქმედების გაწევა, წარმატების მიღწევა, ინტერვიუს აღება...)





1. მოისმინეთ სიტყვები! 

1. კომპოზიტორი

2. მეცნიერი

3. მწერალი

4. მასწავლებელი

5. პოლიტიკოსი

6. პოეტი

7. მსახიობი


8. ფეხბურთელი

9. სამხედრო

10. არქიტექტორი

11. ქველმოქმედი

2. მოსმენილი სიტყვები მიუწერეთ შესაბამის სურათებს! 






3. გაიმეორეთ მოსმენილი სიტყვები!


4. მოისმინეთ სიტყვები! 

1. დაბადება 2. დაოჯახება 3. წარმატების მიღწევა 4. კარიერა 5. გარდაცვალება

5. მოსმენილი სიტყვები მიუწერეთ შესაბამის სურათებს! 

1. დაბადება 2. დაოჯახება 3. წარმატების მიღწევა 4. კარიერა 5. გარდაცვალება



6. გაიმეორეთ მოსმენილი სიტყვები! 



კითხვა-გაგება



1.1. წაიკითხეთ დიალოგი!

➤ იცნობთ მურატ ილდირიმს?

სონერი: ნიკა, იცი, სურათზე ვინ არის?

ნიკა: დიახ, ეს ცნობილი და ნიჭიერი მსახიობი მურატ ილდირიმია.

სონერი: გაინტერესებს მის შესახებ?

ნიკა: ძალიან მაინტერესებს. სად და როდის დაიბადა?

სონერი: იგი თურქეთის ქალაქ ქონიაში დაიბადა 1979 წლის 13 აპრილს.

ნიკა: მურატ ილდირიმი პროფესიით მსახიობია?

სონერი: არა, პროფესიით ინჟინერია, მსახიობი შემდეგ გახდა.

ნიკა: იგი კეთილი ადამიანია, ქველმოქმედებასაც ეწევა.

სონერი: მურატ ილდირიმი საქართველოში ძალიან უყვართ.

ნიკა: „ასი“, „სიყვარული და სასჯელი“, „მდუმარენი“ – ამ ფილმებით გაიცნო ქართველმა ხალხმა იგი.

სონერი: ამბობენ, რომ მასაც უყვარს საქართველო და ქართველი ხალხი.

ნიკა: მურატ ილდირიმი საქართველოს მეორედ ეწვია დაავადებული ბავშვების დასახმარებლად.

სონერი: მისგან ინტერვიუ აიღეს და კლიპშიც გადაიღეს ბავშვებთან ერთად.

ნიკა: იგი დიდ დახმარებას უწევდა და ახლაც უწევს ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს.

სონერი: კარგია!



1.2. დიალოგის მიხედვით აღნიშნეთ სწორი და არასწორი პასუხები!

| № | | სწორია | არასწორია |
|---|---|--------|-----------|
| 1 | მურატ ილდირიმი სტამბოლში დაიბადა. | | |
| 2 | მურატ ილდირიმი ცნობილი თურქი მსახიობია. | ✓ | |
| 3 | იგი პროფესიით ინჟინერია. | | |
| 4 | მურატ ილდირიმი საქართველოში არ იყო. | | |
| 5 | იგი დაავადებულ ბავშვებს ეხმარება. | | |
| 6 | მურატ ილდირიმი უყვართ საქართველოში. | | |
| 7 | მურატ ილდირიმი ქველმოქმედია. | | |

1.3. დიალოგის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს!

- 1) რომელ წელს დაიბადა მურატ ილდირიმი?
.....
- 2) სად დაიბადა მურატ ილდირიმი?
.....
- 3) მურატ ილდირიმი პროფესიით ინჟინერია?
.....
- 4) რატომ ჩამოვიდა იგი საქართველოში?
.....
- 5) მსახიობი ვის უწევს დახმარებას?
.....



2.1. წაიკითხეთ ბიოგრაფია!

ნინო სურგულაძე



ცნობილი ქართველი საოპერო მომღერალი ნინო სურგულაძე დაიბადა 1977 წლის 12 ოქტომბერს საქართველოში, თბილისში. 2001 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია.

ნინო სურგულაძე 2002 წლიდან მღერის მსოფლიო საოპერო თეატრებში. მას მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (იაპონიაში, იტალიაში, ამერიკაში, საფრანგეთში, ესპანეთში, გერმანიაში...) შესრულებული აქვს საოპერო პარტიები. იგი არის საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი. ცნობილი მეცო-სოპრანო ხშირად მონაწილეობს საქველმოქმედო კონცერტებში მსოფლიოს საოპერო ვარსკვლავებთან ერთად.

ნინო სურგულაძე არის საქველმოქმედო ფონდ „ნატურის ხის“ დამფუძნებელი. ეს ფონდი ეხმარება ოჯახებს, დაავადებულებს.

2.2. ბიოგრაფიის მიხედვით შეავსეთ ანკეტა!

| ნინო სურგულაძე | |
|------------------|--|
| დაბადების თარიღი | |
| დაბადების ადგილი | |
| ეროვნება | |
| საქმიანობა | |
| ჟანრი | |

➤ დაიმახსოვრეთ! ➡

ანტონიმური ზმნები
 დაბადება – გარდაცვალება
 დაიბადა – გარდაიცვალა
 დაწყება – დამთავრება
 დაიწყო – დაამთავრა



მოსმენა და გაგება

1. მოისმინეთ ტექსტი! 
2. მოსმენილი ტექსტის მიხედვით შეავსეთ გამოტოვებული ადგილები!

| სახელი და გვარი | დაბადების თარიღი | დაბადების ადგილი | პროფესია |
|-----------------|------------------|------------------|-------------|
| ფატმა გენჯი | | თურქეთი, ანკარა | |
| | 20.09.1982 | | |
| | | | არქიტექტორი |
| | 12.03.1955 | | |

3. მოისმინეთ ბიოგრაფია! 
4. მოსმენილი ბიოგრაფიის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს! 



- 1) რომელ წელს დაიბადა შოთა არველაძე?
.....
- 2) სად დაიბადა შოთა არველაძე?
.....
- 3) რამდენი ძმა ჰყავს შოთა არველაძეს?
.....
- 4) შოთა არველაძის ძმები ფეხბურთელები არიან?
.....




5. მოსმენილი ბიოგრაფიის მიხედვით შეავსეთ!

| შოთა არველაძე – პირადი მონაცემები | |
|--|-------|
| დაბადების თარიღი | |
| დაბადების ადგილი | |
| სიმაღლე | |
| პოზიცია | |
| საკლუბო კარიერა | |
| წელი | გუნდი |
| | |
| | |
| | |
| სამწვრთნელო კარიერა | |
| წელი | გუნდი |
| | |
| | |
| | |
| ჯილდოები | |
| | |
| | |
| | |



საუბარი



1. წაიკითხეთ ტექსტები!

ბატონი ახმედი მწვრთნელია.

ის ძალიან კეთილი და მხიარული ადამიანია, არის მაღალი და გამბდარი, აქვს შავი თმები და შავი თვალები. ბატონ ახმედს დიდი ოჯახი აქვს. მას უყვარს მუსიკა, სპორტი და სპორტულად ჩაცმა.

ქალბატონი ელენე პოლიტიკოსია.

ის სასიამოვნო გარეგნობის ადამიანია, არის საშუალო სიმაღლის, გამბდარი, აქვს ქერა თმები და ცისფერი თვალები. ქალბატონ ელენეს უყვარს წიგნების კითხვა, მოგზაურობა და კლასიკური მუსიკა.

ომერი ახალგაზრდა პოეტია.

ის ნიჭიერი და ენერგიული ადამიანია, არის შავგვრემანი, მაღალი და მსუქანი, აქვს შავი თმები და შავი თვალები. ომერს ცოლ-შვილი არ ჰყავს. მას უყვარს მეგობრები, გართობა და სპორტი.

გიორგი მოსწავლეა.

ის დაბალი და სუსტი ბავშვია, აქვს ქერა თმები და მწვანე თვალები. გიორგის მამა შარშან გარდაიცვალა, ამიტომ იგი ხშირად მოწყვნილია. მას უყვარს კითხვა. გიორგი ბეჯითი მოსწავლეა. მისი საყვარელი საგანი მათემატიკაა.




2. ქვემოთ მოცემული სიტყვებით ააგეთ მსგავსი დიალოგები!

**ბატონი დავითი
არქიტექტორი
ოჯახი
წარმატებული**

**ქალბატონი სემრა
მეცნიერი
მაღალი
სასიამოვნო**

**ირაკლი და სონერი
მეგობრები
მაღალი – დაბალი
მსუქანი – სუსტი**

3. გამოიყენეთ სქემებში მოცემული სიტყვები და ისაუბრეთ (როგორი გარეგნობის ხართ? როგორი ხასიათი გაქვთ? რა გიყვართ? ვინ გინდათ იყოთ?...)!





წერა



1. წაკითხეთ ტექსტი!

მერიემის ოჯახის წევრები სხვადასხვა პროფესიის ადამიანები არიან. მამა 45 წლისაა, პოლიტიკოსია. ის მაღალი და გამხდარია, ბევრს კითხულობს, უყვარს ტელევიზორის ყურება. დედა მეცნიერია, 40 წლისაა. ის საშუალო სიმაღლის, ქერა და ცისფერთვალებაა. მერიემის ბებია საავადმყოფოში ექთანია. ის სასიამოვნო გარეგნობის შავგვრემანი ქალბატონია, უყვარს თავისი საქმე და პაციენტები. ბაბუა, ბატონი ალი, ორი წლის წინ გარდაიცვალა. ის სამხედრო იყო, ცნობილი და გამოცდილი ადამიანი. მერიემის ძმები სპორტსმენები არიან. ორივე მაღალი და გამხდარია. ერთი შავგვრემანია, მეორე – ქერა. ისინი ბევრს ფიქრობენ კარიერაზე. მათ უნდათ, რომ წარმატებას მიაღწიონ. მერიემის და 3 წლისაა. იგი ქერა და მსუქანი ბავშვია.

2. ტექსტის მიხედვით დაწერეთ, ვინ როგორი გარეგნობისაა!

მერიემის მამა:

მერიემის დედა:

მერიემის ბებია:

მერიემის ძმები:

მერიემის და:



3. მოცემულ სიტყვებს მიუწერეთ ანტონიმები და შეადგინეთ წინადადებები!

| სიტყვა | ანტონიმი | წინადადება |
|---------------|---------------|---|
| დაბალი | მაღალი | ჰადი ისაკზე მაღალია, ნიკა ბექაზე დაბალია. |
| შავგვრემანი | | |
| მსუქანი | | |
| სასიამოვნო | | |
| დაბადება | | |
| დაწყება | | |

4. შეავსეთ ანკეტა თქვენი მონაცემებით!

| | |
|---------------------|--|
| სახელი | |
| გვარი | |
| დაბადების თარიღი | |
| დაბადების ადგილი | |
| ეროვნება | |
| საცხოვრებელი ადგილი | |
| საქმიანობა | |
| ენების ცოდნა | |

ანდაზა:

„კარგი ადამიანი
სანთლით საძებარია!“



გრამატიკა

1. მეტყველების ნაწილები

| | | |
|-----|-------------------|---|
| 1. | არსებითი სახელი | ადამიანი, მამა, დედა... სახლი, წიგნი... |
| 2. | ზედსართავი სახელი | კარგი, ლამაზი, მაღალი, დაბალი... |
| 3. | რიცხვითი სახელი | ორი, ათი, მეხუთე, მესამედი, ბევრი... |
| 4. | ნაცვალსახელი | მე, შენ, ის... ვინ? რა? რამდენი? როგორი?.. |
| 5. | ზმნა | ვარ, მყავს, მომწონს, ვაშენებ, მინდა, გინდა... |
| 6. | ზმნიზედა | აქ, იქ, შიგნით, გარეთ, სად? როდის?.. |
| 7. | თანდებული | -ში, -ზე, -თვის, -გან, -კენ, -მდე, შესახებ... |
| 8. | კავშირი | და, მაგრამ, იმიტომ რომ, თუ... |
| 9. | ნაწილაკი | დიახ, არ, ვერ, -ც, -ვე... |
| 10. | შორისდებული | ოჰ, უჰ, ვაი, ვაიმე... |

2. თანდებული (შესახებ)

...ის + შესახებ

ვის შესახებ?

რის შესახებ?

მე ჩემი მეგობრის შესახებ ვისაუბრებ.
 ფატმა, რა იცი საქართველოს შესახებ?
 მის შესახებ ყველაფერი მაინტერესებს.
 ამ ფილმის შესახებ ბევრი რამ ვიცი.
 ნიკას წარმატების შესახებ გაზეთებში
 წერენ.



3. კავშირებითი კილო (II კავშირებითი) – რა ვქნა?



ვთქვა
შევწვა



წავიდე
დავჯდე



ვისწავლო
დავწერო

მინდა თქმა / მინდა ვთქვა <
მინდა, რომ ვთქვა
მინდა წასვლა / მინდა წავიდე <
მინდა, რომ წავიდე
მინდა სწავლა / მინდა
ვისწავლო < მინდა, რომ
ვისწავლო

შეიძლება, რაღაც ვთქვა?
ნინო, სახლში მალე უნდა წახვიდე!
შეიძლება, თქვენთან ერთად დავჯდე?
ესმა, ქართული ენა კარგად უნდა ისწავლო!
დღეს რა უნდა გავაკეთოთ?
მინდა წარმატებას მივაღწიო.
ისადილოს და მერე ითამაშოს!

4. წარსული დროის დაუსრულებელი მოქმედება (უწყვეტელი) – რას შვრებოდა?



ვ-წერ-დ-ი
ვ-სწავლობ-დ-ი

ვ-მღერ-ოდ-ი
მო-ვ-დი-ოდ-ი

| უწყვეტელი | | |
|-----------|------------|--------------|
| | წერა | სიმღერა |
| მე | ვ-წერ-დ-ი | ვ-მღერ-ოდ-ი |
| შენ | წერ-დ-ი | მღერ-ოდ-ი |
| ის | წერ-დ-ა | მღერ-ოდ-ა |
| ჩვენ | ვ-წერ-დ-ით | ვ-მღერ-ოდ-ით |
| თქვენ | წერ-დ-ით | მღერ-ოდ-ით |
| ისინი | წერ-დ-ნენ | მღერ-ოდ-ნენ |

შოთა არველაძე თურქეთის საფეხბურთო გუნდში თამაშობდა.
ესმა და ლეილა ქართულ ენას სწავლობდნენ.
გუშინ დილით რას აკეთებდით?
მურატ ილდირიმი საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდა.
ის თბილისში ხშირად ჩამოდიოდა.



5. ანტონიმური და სინონიმური ზმნები:

ანტონიმური ზმნები
 დაბადება ≠ გარდაცვალება
 იბადება ≠ კვდება
 დაწყება ≠ დამთავრება
 იწყება ≠ მთავრდება

სინონიმური ზმნები
 გარდაცვალება = სიკვდილი
 გარდაიცვალა (ადამიანი)
 მოკვდა (ჩიტო, ძაღლი...)

მწერალი დაიბადა... წელს, გარდაიცვალა... წელს.
 გაკვეთილი 9 საათზე დაიწყო და 10 საათზე დამთავრდა.
 სექტემბერში სწავლა იწყება, ივნისში სწავლა მთავრდება.
 ბაბუა ორი წლის წინ გარდაიცვალა.
 ჩემი ძაღლი ზამთარში მოკვდა.

6. ზმნის ფორმები (დაბადება, მიცემა):

| დაბადება | | | |
|----------|-----------|-------------|-------------|
| | ახლანდ. | მომავ. | წარს. |
| მე | ვიბადები | დავიბადები | დავიბადე |
| შენ | იბადები | დაიბადები | დაიბადე |
| ის | იბადება | დაიბადება | დაიბადა |
| ჩვენ | ვიბადებით | დავიბადებით | დავიბადეთ |
| თქვენ | იბადებით | დაიბადებით | დაიბადეთ |
| ისინი | იბადებიან | დაიბადებიან | დაიბადნენ |
| მიცემა | | | |
| მე | ვაძლევ | მივცემ | მივეცი |
| შენ | აძლევ | მისცემ | მიეცი |
| ის | აძლევს | მისცემს | მისცა /მან |
| ჩვენ | ვაძლევთ | მივცემთ | მივეცით |
| თქვენ | აძლევთ | მისცემთ | მიეცით |
| ისინი | აძლევენ | მისცემენ | მისცეს /მათ |



კროსვორდი

ჩაწერეთ ადამიანის პორტრეტისა და საქმიანობის აღმნიშვნელი სახელები!

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|--|--|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | მ | | | | | | | ქ | | | |
| | | | | | | | | მ | | ა | ტ | | ა | ო |
| | | | | ა | | | | | | ღ | | ე | | |
| | | | | | | | წ | | | ა | | | | ზ |
| | | | | | | | | | | მ | | მ | | |
| | | | პ | ო | რ | ტ | რ | ე | ტ | ი | | | | ს |
| | | | ბ | | | | | | | ა | | ქ | | |
| | | | | | | | ლ | | | ნ | | | | ო |
| | | | | | | | | | | ი | | ე | | |
| | | | | | | | | | | | | | | |
| მ | | | | წ | | ვ | | ე | | ე | | ო | | |
| | | | | | | | | | | | | | | |
| მ | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | მ | | ე | | |
| | | | | | | | | | | | | | | |
| ა | | | ქ | | ტ | | ქ | | ლ | | ო | | | |
| | | | | | | | | | ლ | | | | | |
| ი | | | | | | | | | | | ო | | | |

- პასუხები:** 1. პორტრეტი 2. არქიტექტორი 3. ექიმი 4. იურისტი 5. მასწავლებელი
 6. მძღოლი 7. მსახიობი 8. მწერალი 9. ადამიანი 10. მომღერალი
 11. ქველმოქმედი 12. მხატვარი

თავის ძირითადი სიტყვები და ფრაზები:

ადამიანი
 პორტრეტი
 გარეგნობა
 ბიოგრაფია
 ეროვნება
 კარიერა
 მომღერალი
 ანკეტა
 სამხედრო

თვისება
 მსახიობი
 მხიარული
 მოწყენილი
 მსუქანი
 გამხდარი
 ცნობილი
 არქიტექტორი
 კომპოზიტორი

დაბადება
 გარდაცვალება
 დაწყება
 დამთავრება
 დაოჯახება

მე გახლავართ
 ქველმოქმედებას
 ეწევა
 დახმარების გაწევა
 წარმატების მიღწევა
 ინტერვიუს აღება



თავი 6.

ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება დაწესებულებები და მომსახურების ობიექტები




- ✓ ადამიანის ყოველდღიური საქმიანობა
- ✓ დაწესებულებები
- ✓ მომსახურების ობიექტები და პერსონალი
- ✓ თანდებულები (-თვის, -გან, -კენ)
- ✓ მსაზღვრელ-საზღვრული (ჩემი სახლი, შენი ძმა... ეს ბავშვი, ეგ წიგნი...)
- ✓ წარმოქმნილი სახელები (მე-პატრონ-ე, სა-სტუმრ-ო, პროგრამ-ისტ-ი...)
- ✓ ზმნები (დგომა, საუბარი, დანახვა, შექმნა, ვაჭრობა, კვლევა, ტკივილი!)
- ✓ ფრაზები (ჯანმრთელობას გისურვებთ! ინებეთ მენიუ! თქვენი შეკვეთა მიღებულია...)



1. მოისმინეთ სიტყვები! 

- | | | | |
|----------------|---------------|-------------|--------------|
| 1. სკოლა | 2. მარკეტი | 3. ბანკი | 4. ავთიაქი |
| 5. საავადმყოფო | 6. სალონი | 7. კაფე | 8. რესტორანი |
| 9. ავტოსადგური | 10. აეროპორტი | 11. პოლიცია | 12. სასტუმრო |


2. მოსმენილი სიტყვები მიუწერეთ შესაბამის სურათებს! 



3. გაიმეორეთ მოსმენილი სიტყვები! 



კითხვა-გაგება



1.1. წაიკითხეთ ტექსტი!

➤ ჩემი სკოლა

მე მქვია აიშე. სტამბოლელი ვარ, 15 წლის ვარ. ეს ჩემი სკოლაა. იგი ქალაქის ძველ უბანშია. სკოლის შენობა დიდია და ლამაზი. აქ ბევრი მოსწავლე სწავლობს. სკოლის ეზოში მოსწავლეებისთვის სპორტული მოედანი და კაფეა. დასვენებაზე ბავშვები აქ ვსაუბრობთ, ვერთობით. ირგვლივ მაღალი შენობები დგას და ლამაზი ყვავილებია. მარჯვნივ ოპერის თეატრია, მარცხნივ სუპერმარკეტი და ბანკია. სკოლის უკან მოსწავლეთა პარკია, პირდაპირ – ავტობუსის გაჩერება. მე სკოლაში №4 ავტობუსით დავდივარ. გაჩერებიდან სახლისკენ ფეხით მივდივარ.



1.2. ტექსტის მიხედვით აღნიშნეთ სწორი და არასწორი პასუხები!


| | | სწორია | არასწორია |
|-----|--------------------------------------|--------|-----------|
| 1. | აიშე ანკარელია. იგი თოთხმეტი წლისაა. | | |
| 2. | აიშეს სკოლა ქალაქის ძველ უბანშია. | ✓ | |
| 3. | აიშე სკოლაში ფეხით დადის. | | |
| 4. | სკოლის ეზოში სპორტული მოედანია. | | |
| 5. | ბავშვები სკოლის ეზოში საუბრობენ. | | |
| 6. | ირგვლივ დაბალი შენობები დგას. | | |
| 7. | მარცხნივ ოპერის თეატრია. | | |
| 8. | მარჯვნივ სუპერმარკეტი და ბანკია. | | |
| 9. | სკოლის უკან ავტობუსის გაჩერებაა. | | |
| 10. | აიშე სახლისკენ ფეხით მიდის. | | |

1.3. ტექსტის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს!

- 1) საიდან არის აიშე და რამდენი წლისაა იგი?
.....
- 2) სად მდებარეობს აიშეს სკოლა?
.....
- 3) როგორია აიშეს სკოლა?
.....
- 4) ბავშვები სკოლის ეზოში საუბრობენ?
.....
- 5) რა არის სკოლის მარჯვნივ და მარცხნივ?
.....
- 6) რა არის სკოლის უკან?
.....
- 7) სად არის ავტობუსის გაჩერება?
.....
- 8) რომელი ნომერი ავტობუსით დადის აიშე სკოლაში?
.....



2.1. წაიკითხეთ დიალოგი!



➤ ჩემი სკოლა

ა: უკაცრავად, შეგიძლიათ დამეხმაროთ?

ბ: სიამოვნებით, დაგეხმარებით!

ა: როგორ მოვხვდები მუზეუმთან?

ბ: მუზეუმი აქედან შორს არ არის.

ა: ფეხით წავიდე?

ბ: ფეხით წასვლა უკეთესია. გზაში დაინახავთ კინოთეატრს, საბავშვო ცენტრს.

ა: სპორტული სკოლა მუზეუმთან ახლოს არის?

ბ: დიახ, იქვეა, მუზეუმის პირდაპირ. მის გვერდით ახალი სასტუმროა.

ა: დიდი მადლობა დახმარებისა და ყურადღებისთვის!



2.2. დასვით შეკითხვები მოცემული დიალოგის მიხედვით!

ა:

ბ: სიამოვნებით, დაგეხმარებით!

ა:

ბ: მუზეუმი აქედან შორს არ არის.

ა:

ბ: გზაში დაინახავთ კინოთეატრს, საბავშვო ცენტრს.

ა:

ბ: დიახ, სპორტული სკოლა მუზეუმის პირდაპირ არის.

2.3. ჩამოთვალეთ დიალოგში დასახელებული ობიექტები!

.....

.....

★ როგორ მოვხვდები ...თან?

- შეგიძლიათ დამეხმაროთ?
- რა ნომერი ტრანსპორტი მიდის ქალაქის ცენტრში?
- სად მდებარეობს ოპერის თეატრი?
- რა ობიექტებია სასტუმროს მარჯვნივ?
- როგორ მოვხვდები მუზეუმთან?
- ბანკის ირგვლივ რა შენობებია?
- რა გზით წავიდე?
- ტრანსპორტით უნდა წავიდე თუ ფეხით?





მოსმენა და გაგება

1. მოისმინეთ ტექსტი! 



2. მოსმენილი ტექსტის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს! 

1) სად მდებარეობს ლეილას სახლი?
.....

2) რა არის ლეილას სახლის მარჯვნივ და მარცხნივ?
.....

3) ლეილას სახლის პირდაპირ რესტორანი არის?
.....

4) სად დადის ლეილას ოჯახი საყიდლებზე?
.....

5) სად მუშაობენ ლეილას მშობლები?
.....



3. მოისმინეთ წინადადებები! 

4. მოსმენილი წინადადებების მიხედვით შეავსეთ ცხრილი! 

| პიროვნება | ობიექტი | საქმიანობა |
|--------------|----------|------------------|
| ფარმაცევტი | ავთიაქში | წამლებს ამზადებს |
| დალაქი | | |
| მასწავლებელი | | |
| ფეხბურთელი | | |
| ფინანსისტი | | |
| ექიმი | | |
| მძღოლი | | |
| მზარეული | | |
| მსახიობი | | |
| გამყიდველი | | |






საუბარი

1. წაიკითხეთ დიალოგები!

კაფეში

- მიმტანი :** გამარჯობა, ინებეთ მენიუ!
- სონერი :** ბეჯა, ნახე მენიუ!
- ბეჯა :** აქ ბევრი გემრიელი კერძია. რა ვჭამოთ?
- სონერი :** მე ქაბაბი, ფლავი და სალათა მინდა. შენ?
- ბეჯა :** მე ფიდესა და სალათას შევჭამ.
- სონერი :** რა დავლიოთ, ჩაი თუ ხილის წვენი?
- ბეჯა :** მე ჩაის დავლევ, შენ?
- სონერი :** მე ფორთოხლის წვენს.
- მიმტანი :** თქვენი შეკვეთა მიღებულია, მოგართმევთ!



რუსთაველის გამზირზე



- ანა:** აიშე, ეს რუსთაველის გამზირია.
- აიშე:** რა ლამაზი შენობებია!
- ანა:** მარჯვნივ რუსთაველის მეტროა.
- აიშე:** მარცხნივ რა არის?
- ანა:** მარცხნივ სასტუმრო „რედისონია“.
- აიშე:** აქ სკოლა არის?
- ანა:** დიახ. აი, თბილისის №1 საჯარო სკოლა.
- აიშე:** ეს თეატრია?
- ანა:** დიახ, ეს რუსთაველის თეატრია.
- აიშე:** ამ მოედანს რა ჰქვია?
- ანა:** ეს თავისუფლების მოედანია.
- აიშე:** მე ძალიან მომწონს თბილისი!



აფთიაქში

- ა: გამარჯობა! თუ შეიძლება, გრიპის წამლები მომეცით.
- ბ: ტემპერატურა გაქვთ?
- ა: ტემპერატურა მაქვს და ყელიც მტკივა.
- ბ: ექიმთან იყავით?
- ა: დიახ, ვიყავი. რეცეპტიც მომცა.
- ბ: ამ წამლებს ახლავე მოგცემთ.
- ა: თერმომეტრიც მომეცით!
- ბ: ინებეთ 10 აბი გრიპის წამალი, 5 აბი ტემპერატურისთვის და თერმომეტრი.
- ა: დიდი მადლობა!
- ბ: ჯანმრთელობას გისურვებთ!



2. მოცემული სიტყვების გამოყენებით ააგეთ მსგავსი დიალოგები და ისაუბრეთ!

სასტუმროში
ოთახი
5 დღით
რა ღირს?

თეატრში
2 ბილეთი
სპექტაკლი
მაქვს

სავაჭრო ცენტრში
ბანკი
ტელევიზორი
განვადება

3. ისაუბრეთ თქვენი ოჯახის წევრების ყოველდღიური საქმიანობის შესახებ!

.....

.....

.....


.....

.....

.....



წერა



1. დააკვირდით სურათს და დაწერეთ, რა არის ავტობუსის გაჩერების წინ!

.....
.....
.....
.....
.....


2. შეარჩიეთ სწორი ვარიანტი!

- 1. ესმას მამამ ბანკში ორი წელი ფინანსისტად (მუშაობდა, იმუშავა)
- 2. ექიმი პაციენტს კლინიკაში (უმკურნალებს, უმკურნალა)
- 3. სუპერმარკეტში ახალ პროდუქტებს (გაყიდეს, ყიდიან)
- 4. აიშე და ლია ხვალ მუზეუმში (მიდის, წავლენ)
- 5. ბენზინგასამართ სადგურთან ბევრი მანქანა (დგას, დგანან)



3. სურათების მიხედვით დაწერეთ დენიზის ოჯახის წევრების ყოველდღიური საქმიანობის შესახებ!

დენიზის ოჯახი



.....

.....

.....


.....

.....




გრამატიკა


1. თანდებულები (-თვის, -გან, -კენ)



ვისთვის?
რისთვის?



ვისგან?
რისგან?




ვისკენ?
რისკენ?



ექიმისთვის მნიშვნელოვანია პაციენტის ჯანმრთელობა.
 სკოლის **ბიბლიოთეკისთვის** ახალი წიგნები შეიძინეს.
მხატვრისგან მშვენიერი სურათი ვიყიდე.
 კარგ ავეჯს **ხისგან** ამზადებენ.
 ახლა ბავშვები ავტობუსის **მძღოლისკენ** მიდიან.
ბაზრისკენ წასვლა ფეხითაც შეიძლება.



2. მსაზღვრელ-საზღვრული (ჩემი სახლი, შენი ძმა... ეს ბავშვი, ეგ წიგნი...)



| მსაზღვრელი | | საზღვრული |
|-------------------------|-------------------------|-------------|
| ჩემ-ი/შენ-ი/(ი)მის-ი | ჩვენ-ი/თქვენ-ი/მათ-ი | ექიმ(ებ)-ი |
| ჩემ-მა/შენ-მა/(ი)მის-მა | ჩვენ-მა/თქვენ-მა/მათ-მა | ექიმ(ებ)-მა |
| ჩემ-ს/შენ-ს/(ი)მის | ჩვენ-ს/თქვენ-ს/მათ-ს | ექიმ(ებ)-ს |
| ჩემ-ი/შენ-ი/(ი)მის-ი | ჩვენ-ი/თქვენ-ი/მათ-ი | ექიმ(ებ)-ის |
| ჩემ-ი/შენ-ი/(ი)მის-ი | ჩვენ-ი/თქვენ-ი/მათ-ი | ექიმ(ებ)-ით |
| ჩემ-ს/შენ-ს/(ი)მის | ჩვენ-ს/თქვენ-ს/მათ-ს | ექიმ(ებ)-ად |
| ჩემ-ო/ - / - | ჩვენ-ო/ - / - | ექიმ(ებ)-ო |

ჩვენი თეატრი ისტორიულია; შენმა ექიმმა რეცეპტი მოგცა? მის სკოლას კარგი შენობა აქვს; თქვენს მასწავლებელს რა ჰქვია? მათმა კლასმა ბევრი იმეცადინა; ჩემი ძმის კაფეში წავიდეთ! მათი ბანკით კმაყოფილი ვარ; ჩემო მეგობრებო, სად ხართ? ალი მის დირექტორად მუშაობს; ისინი მისი პაციენტები არიან.



| | |
|-----|----|
| I | ეს |
| II | ეგ |
| III | ის |

მოსწავლე

ეს სახლ-ი – ამ სახლ-მა...
 ეს მოსწავლე – ამ მოსწავლე-მ...
 ის ბანკ-ი – იმ ბანკ-მა...
 ის სასტუმრო – იმ სასტუმრო-მ...
 ეგ ადამიან-ი – მაგ ადამიან-მა...
 ეგ სკოლა – მაგ სკოლა-მ...

| მსაზღვრელი | საზღვრული |
|------------|----------------|
| ეს/ეგ/ის | ადამიან(ებ)-ი |
| ამ/მაგ/იმ | ადამიან(ებ)-მა |
| ამ/მაგ/იმ | ადამიან(ებ)-ს |
| ამ/მაგ/იმ | ადამიან(ებ)-ის |
| ამ/მაგ/იმ | ადამიან(ებ)-ით |
| ამ/მაგ/იმ | ადამიან(ებ)-ად |
| – | – |

ეს სასტუმრო ახალი არ არის, ძველია.
 ამ სკოლას საინტერესო ისტორია აქვს.
 იმ მხატვარმა დახატა ეგ სურათი.
 კმაყოფილი ხარ მაგ ბანკით?
 იმ მაღალი შენობის გვერდით პოლიციაა.
 ამ კაბას ვერ იყიდი მაგ ფასად.

3. წარმოქმნილი სახელები (პროგრამ-ისტ-ი, სა-სტუმრ-ო...)

მე- – -ე

მეპატრონე
 მეკარე
 მესაათე

სა- – -ო

სასტუმრო
 სავაჭრო
 საბავშვო

-ისტ

პროგრამისტი
 ფინანსისტი
 იურისტი

ბაბუაჩემი ამ სასტუმროს მეპატრონეა.
 აიშეს ძმა ფეხბურთის გუნდის მეკარეა.
 კარგ მესაათეს იცნობთ?
 სუპერმარკეტში საოჯახო ნივთებსაც ყიდიან.
 ქალაქის ცენტრში საბავშვო ბაღია.
 პროგრამისტები და ფინანსისტები პროექტზე მუშაობენ.
 თქვენ იურისტი ბრძანდებით?



4. ზმნის ფორმები (დგომა):

| დგომა | | | |
|-------|----------|----------|---------|
| | ახლანდ. | მომავ. | წარს. |
| მე | ვდგავარ | ვიდგები | ვიდექი |
| შენ | დგახარ | იდგები | იდექი |
| ის | დგას | იდგება | იდგა |
| ჩვენ | ვდგავართ | ვიდგებით | ვიდექით |
| თქვენ | დგახართ | იდგებით | იდექით |
| ისინი | დგანან | იდგებიან | იდგნენ |





კროსვორდი

ჩაწერეთ დაწესებულებებისა და მომსახურების ობიექტების სახელები!

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ს | | ო | | ა | | | | |
| | | | | | | ბ | | | ს | | | |
| | | | | პ | | ი | | | | | | |
| | დ | ა | წ | ე | ს | ე | ბ | უ | ლ | ე | ბ | ა |
| | | | | | | ქ | | | ო | | | |
| | | თ | | მ | | ტ | | | | | ნ | |
| | | | | | | ი | | | ი | | | |
| თ | | ა | | რ | | | | | | | ი | |
| | | | | | | | კ | | | | | |
| | | ი | | ე | | | | | | კ | | |
| | | | ს | | ა | | ი | | ნ | | | |
| | | | | ი | | | | | | | | |
| | | | | | | | ი | | | ო | | |
| | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | ა | | | | | |

პასუხები:

1. დაწესებულება
2. ობიექტი
3. კინო
4. ბანკი
5. კლინიკა
6. თეატრი
7. აფთიაქი
8. სტადიონი
9. სალონი
10. სუპერმარკეტი
11. სკოლა





თავის ძირითადი სიტყვები და ფრაზები:

დაწესებულება
 ობიექტი
 ჯანმრთელობა
 წამალი
 რეცეპტი
 გრიპი
 ყელი
 აბი
 კვლევა
 მეცნიერი
 მზარეული
 კაფე
 მეპატრონე
 სასტუმრო
 ყურადღება
 ოპერა
 ყოველდღიური

საქმიანობა
 შექმნა
 დაკვრა
 დგომა
 დანახვა
 ვაჭრობა
 კვლევა
 ტკივილი
 მოცემა

ყველგან
 მადლობა ყურადღებისთვის!
 ჯანმრთელობას გისურვებთ!
 მანქანის მართვა
 როლის შესრულება
 როგორ მოვხვდები?
 წესრიგს იცავს...
 ინებეთ მენიუ!
 თქვენი შეკვეთა მიღებულია!





თავი 7.

რა ჩავიცვათ?

- ✓ ტანსაცმელი
- ✓ ფეხსაცმელი
- ✓ თანამედროვე მოდა
- ✓ სასკოლო ტანსაცმელი
- ✓ სპორტული ტანსაცმელი
- ✓ მიმართვის ფორმები
- ✓ ადგილის ზმნიზედა (მარჯვნივ, მარცხნივ)
- ✓ სახელზმნა (საწყისი, მიმღობა: ჩაცმა – ჩაცმული, დახურვა – დახურული...)
- ✓ ანტონიმური და სინონიმური ზმნები (ალება ≠ დადება, ჩაცმა ≠ გახდა, ყიდვა = შეძენა...)
- ✓ ზმნები (შეძენა, ალება, დადება, ჩაცმა, გახდა, შეკვრა, გახსნა)
- ✓ ფრაზები (ქუდის დახურვა, ქუდის მოხდა, როგორ ჩავიცვათ? / რა ჩავიცვათ? როგორი სტილი მოგწონთ? რა ზომა გნებავთ? ძალიან გიხდებათ!)





1. მოსმინეთ სიტყვები! 

1. პიჯაკი

2. ქურთუკი

3. შარვალი

4. კაბა

5. სვიტერი

6. ქუდი

7. პერანგი

8. მაისური

9. ფეხსაცმელი

10. წინდა





11. ქამარი

12. ჰალსტუხი

13. კაშნე

14. საყურე

2. მოსმენილი სიტყვები მიუწერეთ შესაბამის სურათებს! 



3. გაიმეორეთ მოსმენილი სიტყვები! 



კითხვა-გაგება

1.1. წაიკითხეთ დიალოგი!



➤ ტანსაცმლის მაღაზიაში

გამყიდველი: მობრძანდით! რა გნებავთ?

დედა: სასკოლო ტანსაცმელი გვინდა, ვაჟისთვის და გოგონასთვის.

გამყიდველი: რა ზომა? როგორი ფერის?

დედა: გოგონასთვის 36 ზომა, ვაჟისთვის – 38, ლურჯი იყოს.

გამყიდველი: ახლავე, ინებეთ!

მამა: ბავშვებო, ძალიან ლამაზია! თქვენ მოგწონთ?

შვილები: მოგწონს, მშენებია!

მამა: ძალიან კარგი! ავიღებთ.

გამყიდველი: ინებეთ!



1.2. დიალოგის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს!

1) რას ყიდულობენ მაღაზიაში მშობლები შვილებისთვის?
.....

2) როგორი ფერის ტანსაცმელი უნდათ?
.....

3) რა ზომის ტანსაცმელს იცვამს ვაჟი?
.....

4) რა ზომის ტანსაცმელს იცვამს გოგონა?
.....

5) მოეწონათ ბავშვებს ტანსაცმელი?
.....

1.3. დიალოგის მიხედვით აღნიშნეთ სწორი პასუხები (✓)!

1. სად არიან ოჯახის წევრები? ფეხსაცმლის მაღაზიაში
 ტანსაცმლის მაღაზიაში
2. რის ყიდვა უნდათ? სპორტული ტანსაცმლის
 სასკოლო ტანსაცმლის
3. ვაჟი იცვამს 38 ზომას
 36 ზომას
4. გოგონა იცვამს 38 ზომას
 36 ზომას



2.1. წაიკითხეთ ტექსტი!



სავაჭრო ცენტრში

ფატმას ქალაქში დიდი სავაჭრო ცენტრია. მისი ოჯახი ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, აქსესუარებს, საჩუქრებს – ყველაფერს იქ ყიდულობს. სავაჭრო ცენტრში თანამედროვე მოდაზე შეკერილი ტანსაცმელი და ფეხსაცმელია ყველა სტილისა და ასაკისთვის. ფატმამ ლამაზი კაბა, ჩექმა და მშვენიერი აქსესუარები შეიძინა. დედამ იყიდა შალის ჟაკეტი და აბრეშუმის თავსაფარი, მამამ – პიჯაკი, ჰალსტუხი და ქამარი, უფროსმა ძმამ – სპორტული ფეხსაცმელი და ჯინსის შარვალი. ყველა ბედნიერი იყო. 😊

2.2. ტექსტის მიხედვით ჩაწერეთ ცხრილში, ვინ რა შეიძინა!

| ვინ? | ტანსაცმელი | ფეხსაცმელი | აქსესუარი | სამკაული |
|-------|------------|------------|-----------|----------|
| მამა | | | | |
| დედა | | | | |
| ძმა | | | | |
| ფატმა | | | | |

★ საყიდლებზე

გამყიდველები ყიდიან, მყიდველები ყიდულობენ.
 რისი ყიდვა გინდათ?
 რა ზომას იცვამთ?
 რა ნომერი ფეხსაცმელი გინდათ?
 როგორი ფერის ქურთუკი გინდათ?
 საჩუქარს ვისთვის ყიდულობთ?
 გიყვართ ლამაზი აქსესუარები?



მოსმენა და გაგება



1. მოისმინეთ წინადადებები! 🎧
2. მოსმენილი წინადადებების მიხედვით უპასუხეთ! 🎧

- 1) ვინ ყიდულობს ნინოსთვის ტანსაცმელს?
.....
- 2) როგორი ფერის ჰალსტუხი მოსწონს სონერს?
.....
- 3) რა შეიძინა ესმამ?
.....
- 4) რა იყიდა მარიამის დედამ?
.....
- 5) ვინ იკრავს პალტოს ღილებს?
.....

3. მოისმინეთ წინადადებები! 🎧
4. მოსმენილი წინადადებების მიხედვით შეავსეთ გამოტოვებული ადგილები! 🎧

- 1) დღეს ანა ვარდისფერ კაზას
- 2) ახმედი იხურავს.
- 3) ნიკა ნომრიან სათვალეს
- 4) შულეს აქვს.
- 5) ანა პალტოს



საუბარი

1. წაკითხეთ დიალოგი!



ლია: ესმა, ამ კაბის ყიდვა მინდა, მოგწონს ეს სტილი?

ესმა: მომწონს, მაგრამ მეორე უფრო თანამედროვეა.

ლია: კარგი, ამ კაბას დავდებ და იმას ავიღებ.

ესმა: რა ღირს?

ლია: ძვირი არ არის, 35 ლირა ღირს.

ესმა: რა ლამაზია, ძალიან გიხდება! მშვიდობაში!

ლია: შენ რისი ყიდვა გინდა?

ესმა: მე ზამთრისთვის თბილი ქუდი, კაშნე და ხელთათმანები მინდა.

ლია: აქ ყველაფერია. მარცხნივ არის კარგი ქუდები, მარჯვნივ – ხელთათმანები.

ესმა: ოჰ, ქუდი და კაშნეც ერთად არის და ეს უფრო მომწონს. ვყიდულობ!

ლია: მიხარია! მშვიდობაში!



2. მოცემული სიტყვებით ააგეთ მსგავსი დიალოგები!

მაისური
ქამარი
წინდა
სპორტული
ფეხსაცმელი

ქურთუკი
ჟაკეტი
სვიტერი
ჩექმა

ბაფთა
მბივი
ბეჭედი
სამაჯური

1.

Blank writing area with horizontal dotted lines.

2.

Blank writing area with horizontal dotted lines.





წერა


1. უპასუხეთ შეკითხვებს!

ა: რა ზომა ტანსაცმელს იცვამთ?
 ბ:

ა: რა ნომერ ფეხსაცმელს იცვამთ?
 ბ:

ა: რომელი აქსესუარი მოგწონთ ყველაზე მეტად?
 ბ:

ა: რომელი ფერის ტანსაცმელს იცვამთ ხშირად?
 ბ:



2. ჩაწერეთ ცხრილში, როდის რას იცვამთ და იხურავთ!

| გაზაფხული | ზაფხული | შემოდგომა | ზამთარი |
|-----------|---------|-----------|---------|
| ჟაკეტი | მაისური | პიჯაკი | ჩექმა |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |



3. მოცემული სიტყვებით შეადგინეთ წინადადებები!

1. თბილად / დავდივარ / ჩაცმული / ზამთარში

.....

2. ფატმამ / ქუდი / ლამაზი / დაიხურა

.....

3. მძივი / ქალის / და / ყელსაბამი / აქსესუარებია

.....

4. აიშეს / ღილები / აქვს / პალტოს / ბეზიას / შეკრული

.....




5. ლამაზი / აქვს / მასწავლებელს / სათვალე

.....

6. ჩვენ / სტილი / თანამედროვე / მოგვწონს

.....

4. გაიხსენეთ ფერები და მიუწერეთ!





გრამატიკა

1. მიმართვის ფორმები (..... + -ო/0):

ბავშვებო, ისაუბრეთ და საყიდლებზე წავიდეთ!
მეგობრებო, მოგწონთ ეს აქსესუარები?
მასწავლებელო, ოთახში ქუდის დახურვა შეიძლება?
ბატონო დავით, როგორ ბრძანდებით?
ქალბატონო აიშე, ეს კაბა ლამაზია, იყიდეთ!
სონერ და ზაფერ, ჩაიცვით და სკოლაში წადით!


2. ადგილის ზმნიზება (მარჯვნივ, მარცხნივ)



მარჯვნივ (< მარჯვენა) = მარჯვენა მხარეს
 მარცხნივ (< მარცხენა) = მარცხენა მხარეს

მარჯვნივ სავაჭრო ცენტრია.
მარცხნივ სპორტული მაღაზიაა.
მარჯვნივ წადი, **მარცხნივ** არ წახვიდე!

3. სახელზმნა



ჩაცმა და გახდა ანტონიმებია.
 ზამთარში ქულის **დახურვა** არის საჭირო.
 რა ლამაზად ხარ **ჩაცმული**!
 პალტოს ღილები **შეკრული** მაქვს.
გამყიდველი ყიდის, **მყიდველი** ყიდულობს.



4. ანტონიმური და სინონიმური ზმნები

ანტონიმური ზმნები
 ჩაცმა – გახდა
 ვიცვამ – ვიხდი
 შეკვრა – გახსნა
 ვიკრავ – ვიხსნი
 აღება – დადება
 ვიღებ – ვდებ

ადამიანები ზამთარში თბილად **იცვამენ**.
 გუშინ ახმედმა ახალი ფეხსაცმელი **ჩაიცვა**.
 ბავშვები საკლასო ოთახში ქურთუკებს **იხდიან**.
 ანა, პალტოს ღილები **შეიკარი!**
 ბავშვმა შეკრული ღილები **გაიხსნა**.
 თუ შეიძლება, ამ წიგნს **ავიღებ?**
 გამყიდველმა დახლზე ახალი ჩანთა **დადო**.



ფატმა დღეს ახალ კაზას **ყიდულობს**.
 სონერმა თბილი ქურთუკი **შეიძინა**.
 ამ სავაჭრო ცენტრში სპორტული ფეხსაცმელი **ავიღე**.
იყიდი საზაფხულო ტანსაცმელს?
 მყიდველები აქ კარგ სამკაულს **შეიძენენ**.
 ეს ჩანთა გინდათ, **აიღებთ?**

5. ზმნის ფორმები (ჩაცმა):

| ჩაცმა | | | |
|--------------|----------------|---------------|---------------------|
| | ახლანდ. | მომავ. | წარს. |
| მე | ვიცვამ | ჩავიცვამ | ჩავიცვი |
| შენ | იცვამ | ჩაიცვამ | ჩაიცვი |
| ის | იცვამს | ჩაიცვამს | ჩაიცვა/ მან |
| ჩვენ | ვიცვამთ | ჩავიცვამთ | ჩავიცვით |
| თქვენ | იცვამთ | ჩაიცვამთ | ჩაიცვით |
| ისინი | იცვამენ | ჩაიცვამენ | ჩაიცვეს/ მათ |



კროსვორდი

ჩაწერეთ ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და აქსესუარების სახელები!

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | ჩ | | ქ | | ა | |
| | ქ | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | ფ | | | | ა | | ვ | | ლ | | | |
| | კ | | | ე | | | | ქ | | | | | | შ | |
| | | | | ხ | | | | ს | | | | ა | ბ | | |
| | ტ | ა | ნ | ს | ა | ც | მ | ე | ლ | ი | | | | | |
| | | | | ა | | | | ს | | | | | | | ვ |
| | | | | ც | | | ქ | უ | რ | ი | | | | | |
| | ს | | | მ | | | | ა | | | | | | | |
| კ | | შ | | ე | | ვ | | რ | ა | | | ი | | ი | |
| | ფ | | | ლ | | | | ი | | | | | | | |
| | | | | ი | | ლ | | | | | | რ | | | |
| | ლ | | | | | | | | | | ჩ | | ნ | | ა |
| | | | | | | ვ | | | | | | | | | |

- პასუხები:** 1. ტანსაცმელი 2. ფეხსაცმელი 3. აქსესუარი 4. ქუდი 5. ჩექმა 6. ჟაკეტი
 7. ჩანთა 8. პალტო 9. წინდა 10. შარვალი 11. სათვალე 12. კაშნე 13. პერანგი
 14. ქოლგა 15. საფულე 16. კაბა



თავის ძირითადი სიტყვები და ფრაზები:

ტანსაცმელი
ფეხსაცმელი
აქსესუარი
სამკაული
პალტო
მამაკაცი
ქალი
ზომა
მოდა
საჩუქარი
თავსაფარი
კაბა
შარვალი

პიჯაკი
ყაკეტი
სვიტერი
მაისური
პერანგი
ქამარი
ჰალსტუხი
ბეჭედი
კაშნე
ქუდი
სათვალე
თანამედროვე
სპორტული

ჩაცმა
გახდა
დახურვა
შეკვრა
შეძენა

მარჯვნივ
მარცხნივ
რა ჩავიცვათ?
როგორ ჩავიცვათ?
როგორი სტილი
მოგწონთ?
რა ზომა გნებავთ?
ძალიან გიხდებათ!
ქუდის დახურვა
ქუდის მოხდა



დანართი 1. დავალებები თავი 1.

1. მიუწერეთ სიტყვები სურათებს!

1. მზიანი ამინდი

4. ქარიანი ამინდი

7. ყინვიანი ამინდი

2. ცხელი ამინდი


5. თოვლიანი ამინდი

8. ნისლიანი ამინდი

3. წვიმიანი ამინდი





6. ღრუბლიანი ამინდი

9. თერმომეტრი





2. შეადგინეთ სიტყვები!



1. ვარსკვლავი

2.

3.

4.

3. წაიკითხეთ წინადადებები და დასვით შეკითხვები!

1.?

დღეს კარგი ამინდია.

2.?

არა, დღეს ქარიანი ამინდი არ არის.

3.?

დიახ, დღეს ძალიან ცივა.

4.?

ხვალ, მზიანი ამინდი იქნება.

4. სურათების მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს!



1. ა. ქოლგა რატომ გაქვს?

ბ. იმიტომ რომ

3. ა. რატომ მიდიხარ ნელა?

ბ. იმიტომ რომ



2. ა. გარეთ რატომ არ გადიხარ?

ბ. იმიტომ რომ

4. ა. სახლში რატომ ხარ?

ბ. იმიტომ რომ გარეთ



5. ჩაწერეთ ცხრილში ზმნის ფორმები!

| | გასვლა | | |
|-------|-----------|----------|----------|
| | ახლანდელი | მომავალი | წარსული |
| მე | გავდივარ | | |
| შენ | | | |
| ის | | გავა | |
| ჩვენ | | | |
| თქვენ | | | |
| ისინი | | | გავიდნენ |

6. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები!

1. დღეს კარგი ამინდია.
ანათებს.
ა. მზე
ბ. მთვარე
გ. ვარკვლავი
დ. ღრუბელი

2. დღეს თოვს.
ამინდია.
ა. მზიანი
ბ. ღრუბლიანი
გ. ნისლიანი
დ. ცივი

3. ზამთარში
ა. ცივა
ბ. თბილა
გ. გრილა
დ. ცხელა

4. – ალბათ, დღეს წვიმა იქნება.
– რატომ?
– იმიტომ რომ ამინდია
ა. მზიანი
ბ. ღრუბლიანი
გ. ნისლიანი
დ. ქარიანი



თავი 2.

1. მიუწერეთ სიტყვები სურათებს!

1. ცხენი

2. იხვი

3. ლომი

4. მგელი



5. სპილო

6. ცხვარი

7. კურდღელი

8. არწივი

9. ძროხა





2. ჩაწერეთ ცხრილებში სათანადო სიტყვები!

დათვი, თხა, არწივი, ბელურა, ქათამი, ჟირაფი, ცხენი, ძროხა, მაიმუნი, იხვი, ინდაური, ირემი, ცხვარი, მელია, ბატი, სპილო, კატა, ლომი.

გარეული ცხოველები და ფრინველები:

1.
2.
3.
4.
5.
6.
7.
8.
9.

შინაური ცხოველები და ფრინველები:

1.
2.
3.
4.
5.
6.
7.
8.
9.

3. დააკავშირეთ სიტყვები!

- | | |
|-----------|--------------|
| 1. ძაღლი | ა. ყივის |
| 2. კატა | ბ. კაკანებს |
| 3. ძროხა | გ. ყმუის |
| 4. ცხენი | დ. კნავის |
| 5. მგელი | ე. ბლავის |
| 6. ქათამი | ვ. ჭიხვინებს |
| 7. მამალი | თ. ყეფს |

4. გაასწორეთ შეცდომები!

1. ჟირაფი დაბალი ცხოველია.
.....
2. ლომი შინაური ცხოველია.
.....
3. ქათამი გარეული ფრინველია.
.....
4. კატა გარეული ცხოველია.
.....



5. მოცემული სიტყვებით შეადგინეთ წინადადებები!

1. ცხენი /ახმედს / ჰყავს
.....

2. ცხენი / უყვარს / ისაკს
.....

3. ქალაქში / ახმედის / არის / ზოოპარკი
.....

4. არის/ თეთრი / ზოოპარკში / დათვი
.....

5. სოფელში / ჰყავს / ცხოველები /ახმედს
.....

6. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები!

1. ფრინველია.

- ა. ცხენი
- ბ. კატა
- გ. მამალი
- დ. მაიმუნი

2. ძაღლი

- ა. კნავის
- ბ. ყეფს
- გ. ბღავის
- დ. ყმუის

3. შინაური ცხოველებია:

-
- ა. ლომი, მგელი, მაიმუნი
 - ბ. კატა, ჟირაფი, სპილო
 - გ. არწივი, იხვი, თხა
 - დ. ცხვარი, ძროხა, ცხენი

4. ძალიან ჩქარა დადის.









- ა. კურდღელი
- ბ. ქათამი
- გ. ძროხა
- დ. იხვი



თავი 3.

1. მიუწერეთ სიტყვები სურათებს!

- | | | | |
|---------------|--------------|--------------|-------------|
| 1. მარწყვი | 2. კარტოფილი | 3. ატამი | 4. ლობიო |
| 5. პომიდორი | 6. მსხალი | 7. ფორთოხალი | 8. ლიმონი |
| 9. ყურძენი | 10. საზამთრო | 11. ხახვი | 12. ბალი |
| 13. ბადრიჯანი | 14. ვაშლი | 15. კიტრი | 16. სტავილო |





2. მოცემული სიტყვებით შეადგინეთ წინადადებები!

1. უნდა / გადავიხადო? / რამდენი

 2. ბოსტნეულის / და / ყიდვა / ხილისა / მინდა

 3. ახალი / ამ / ყოველთვის / მარკეტში / ხილია

 4. უნდა / და / პომიდორი / აიშეს / კიტრი / არ

 5. ხილის / სუპერმარკეტში / მაღალია / ფასი

 6. დიახ, / ვარ / ბაზარში

3. ჩაწერეთ ცხრილებში სათანადო სიტყვები!

მსხალი, ლობიო, საზამთრო, ნიორი, ატამი, ბადრიჯანი, ვაშლი, კარტოფილი, ნესვი, ხახვი, გარგარი, სტაფილო, მანდარინი, ქლიავი, პომიდორი, კიტრი.

ხილი:

1.
 2.
 3.
 4.
 5.
 6.
 7.
 8.

ბოსტნეული:

1.
 2.
 3.
 4.
 5.
 6.
 7.
 8.



4. ახლანდელი დროის ზმნა გადაიყვანეთ წარსულში!

ა. მარიამი სუპერმარკეტში ბოსტნეულს ძვირად ყიდულობს.

ბ. მე ბაზარში მივდივარ.

გ. დღეს ბაზარში ბევრ პომიდორს ყიდიან.

დ. დედაჩემი საჭმელს ამზადებს.

ე. მარკეტში ორ კილოგრამ კარტოფილს ვყიდულობ.

5. სწორი პასუხის აღსანიშნავად ფრჩხილებში ჩაწერეთ „ს“, არასწორი პასუხის აღსანიშნავად – „შ“!

- () ყველა ხილი წითელია.
- () საზამთრო ზაფხულის ხილია.
- () ხილს ბაზარში უფრო იაფად ვყიდულობთ.
- () ლიმონი მჟავე და ყვითელი ხილია.
- () ხილ-ბოსტნეულს ვყიდულობთ სკოლაში.

6. აღნიშნეთ, რომელია ზედმეტი (✓)!

| | | | | | |
|----|----------|-----------|---|-----------|----------|
| 1. | ვაშლი | ფორთოხალი | ✓ | ხახვი | ბალი |
| 2. | კომბოსტო | პომიდორი | | ლობიო | საზამთრო |
| 3. | ნესვი | ბადრიჯანი | | მარწყვი | მსხალი |
| 4. | ყურძენი | კიტრი | | კარტოფილი | ლობიო |



7. დააკავშირეთ სიტყვები!

| | |
|----------|--------------|
| 1. მე | ა. ვყიდულობთ |
| 2. შენ | ბ. ყიდულობთ |
| 3. ის | გ. ყიდულობ |
| 4. ჩვენ | დ. ვყიდულობ |
| 5. თქვენ | ე. ყიდულობენ |
| 6. ისინი | ვ. ყიდულობს |

| | |
|----------|------------|
| 1. მე | ა. იყიდის |
| 2. შენ | ბ. ვიყიდით |
| 3. ის | გ. იყიდით |
| 4. ჩვენ | დ. იყიდიან |
| 5. თქვენ | ე. ვიყიდი |
| 6. ისინი | ვ. იყიდი |

8. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები!

1. რამდენი ვაშლის ყიდვა გინდა?

- ა. ფული
- ბ. კილოგრამი
- გ. ცალი
- დ. ლირა

3. რამდენი უნდა

- ა. გადავიხადო
- ბ. იყილო
- გ. გაყილო
- დ. წახვიდე

2. ქალბატონი აიშე და მისი ქმარი ბაზარში

- ა. წავედი
- ბ. წახვედით
- გ. წახვედი
- დ. წავიდნენ

4. ჩვენ ბაზარში ორი კგ მსხალი და სამი კგ კარტოფილი

- ა. ვიყიდეთ
- ბ. გადავიხადეთ
- გ. ვიმუშავეთ
- დ. გავაკეთეთ



თავი 4.


1. მიუწერეთ სიტყვები სურათებს!

- 1. პური
- 5. ყველი
- 9. კვერცხი
- 13. ხორცი

- 2. ყავა
- 6. რძე
- 10. ზეთისხილი
- 14. ქათმის ხორცი

- 3. კარაქი
- 7. თევზი
- 11. ხილის წვენი
- 15. მაკარონი

- 4. ტორტი
- 8. ჩაი
- 12. შოკოლადი
- 16. ნაყინი





2. მოცემული სიტყვებით შეადგინეთ წინადადებები!

1. დაბალი / სუპერმარკეტში / ფასებია

.....

2. გემრიელია / ჩაი / ლიმონიანი

.....

3. კვ / ლირა / ბრინჯი / ერთი / ხუთი / ღირს

.....

4. ბევრი / ბაზარში / თევზია / ახალი

.....

5. კვ / ყიდვა / ერთი / ყველის / მინდა

.....

6. დედა / კერძებს / და / ამზადებენ / ბებია

.....

3. ჩაწერეთ ცხრილებში სათანადო სიტყვები!

წყალი, მაკარონი, ჩაი, ქათამი, პური, რძე, ხილის წვენი, კარაქი, ლიმონათი, ყველი, ზეთისხილი, ყავა

სასმელი:

1.
2.
3.
4.
5.
6.

საჭმელი:

1.
2.
3.
4.
5.
6.



4. დააკავშირეთ ფორმები!

- | | | |
|---|---|--------|
| 1. საჭმელს დანა-ჩანგლითა და კოვზით | – | სვამენ |
| 2. წყალს, ჩაის, ყავას, ხილის წვენს... ჭიქით | – | ჭრიან |
| 3. პურს, ყველს, ხორცს, ძეხვს... დანით | – | ჭამენ |

5. დააკავშირეთ სიტყვები!

- | | |
|-----------|--------------|
| 1. ლიმონი | ა. მწარე |
| 2. თაფლი | ბ. მარილიანი |
| 3. მწნილი | გ. მჟავე |
| 4. წიწაკა | დ. ტკბილი |

7. დაალაგეთ ასოები!

- ნიმუში: რტოიტ – ტორტი
- | | |
|------------|-------|
| 1. მანიწო | |
| 2. გაჩანლი | |
| 3. ყვაა | |

6. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები!

- | | |
|--|---|
| <p>1. ერთი ლიტრი მინდა.</p> <p>ა. პური</p> <p>ბ. რძე</p> <p>გ. ხორცი</p> <p>დ. ზეთისხილი</p> | <p>2. საუზმეზე ვსვამთ.</p> <p>ა. კოკა კოლას</p> <p>ბ. ლიმონათს</p> <p>გ. ჩაის</p> <p>დ. წვნიანს</p> |
| <p>3. - მარკეტში ფასები იყო?</p> <p>- დიახ, ძალიან ძვირი იყო.</p> <p>ა. იაფი</p> <p>ბ. ძვირი</p> <p>გ. ძველი</p> <p>დ. ახალი</p> | <p>4. მე 1 კგ ყველი ვიყიდე.</p> <p>ა. სკოლაში</p> <p>ბ. სალონში</p> <p>გ. ფოსტაში</p> <p>დ. სუპერმარკეტში</p> |

7. აღნიშნეთ, რომელია ზედმეტი (✓)!

| | | | | | | | | |
|----|--|----------|--|----------|--|-------------|--|------|
| 1. | | ჩაი | | თევზი | | ქათამი | | პური |
| 2. | | წყალი | | საზამთრო | | ხილის წვენი | | რძე |
| 3. | | ხორცი | | კვერცხი | | ტორტი | | ყავა |
| 4. | | ლიმონათი | | ყავა | | ხაჭაპური | | ჩაი |



თავი 5.

1. მიუწერეთ სიტყვები სურათებს!

1. კომპოზიტორი

2. მეცნიერი

3. მწერალი

4. მასწავლებელი

5. პოლიტიკოსი

6. პოეტი

7. მსახიობი

8. ფეხბურთელი

9. სამხედრო

10. არქიტექტორი

11. ქველმოქმედი





2. მოცემული სიტყვებით შეადგინეთ წინადადებები!

- 1. არველაძე / თურქეთის / თამაშობდა. / საფეხბურთო / შოთა / გუნდში
.....
- 2. და / ქართულ / ლეილა / ენას / ესმა / სწავლობდნენ.
.....
- 3. აკეთებდით? / რას / დილით / გუმინ
.....
- 4. საქმიანობას / მურატ / საქველმოქმედო / ეწეოდა. / ილდირიმი
.....
- 5. ნინო / ხშირად/ სურგულაძე / ჩამოდიოდა. / თბილისში
.....

3. ჩასვით მოცემული სიტყვები სათანადო ადგილას!

ქველმოქმედი / სამხედრო / მწერალი / მასწავლებელი / კომპოზიტორი

- 1.: სპეციალური განათლების მქონე პირი, რომელიც სკოლაში (ან სკოლის გარეთ) ასწავლის რასმე, რაიმე საგანს.
- 2.: ვინც არმიაში, ჯარში მსახურობს.
- 3.: მუსიკალური ნაწარმოების ავტორი, მუსიკალურ ნაწარმოებთა შემქმნელი.
- 4.: ვინც ლიტერატურულ ნაწარმოებებს წერს.
- 5.: ქველი საქმის მოქმედი, სამადლო საქმის მქნელი, მოწყალე.



4. ტექსტის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს!

ნინო სურგულაძე

ცნობილი ქართველი საოპერო მომღერალი ნინო სურგულაძე დაიბადა 1977 წლის 12 ოქტომბერს საქართველოში, თბილისში. 2001 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია.

ნინო სურგულაძე 2002 წლიდან მღერის მსოფლიო საოპერო თეატრებში. მას მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (იაპონიაში, იტალიაში, ამერიკაში, საფრანგეთში, ესპანეთში, გერმანიაში...) შესრულებული აქვს საოპერო პარტიები. იგი არის საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი. ცნობილი მეცო-სოპრანო ხშირად მონაწილეობს საქველმოქმედო კონცერტებში მსოფლიოს საოპერო ვარსკვლავებთან ერთად. ნინო სურგულაძე არის საქველმოქმედო ფონდ „ნატურის ხის“ დამფუძნებელი. ეს ფონდი ეხმარება ოჯახებს, დაავადებულებს.

1. ვინ არის ნინო სურგულაძე?

.....

2. სად და როდის დაიბადა ნინო სურგულაძე?

.....

3. რომელი ფონდის დამფუძნებელია ნინო სურგულაძე?

.....

4. რა საქმიანობას ეწევა ნინო სურგულაძის ფონდი?

.....



5. მოცემულ სიტყვებს მიუწერეთ ანტონიმები და შეადგინეთ წინადადებები!

| სიტყვა | ანტონიმი | წინადადება |
|---------|----------|---|
| ბეჯითი | ზარმაცი | ომარი დათოზე ბეჯითია. ნინო იაზე ზარმაცია. |
| ლამაზი | | |
| მსუქანი | | |
| მაღალი | | |
| ძვირი | | |
| ახალი | | |

6. შეავსეთ თავისუფალი ადგილები შესაბამისი ზმნებით!

ჩამოდიოდა / აკეთებდით / ეწეოდა / სწავლობდნენ / თამაშობდა

1. შოთა არველაძე თურქეთის საფეხბურთო გუნდში
2. ესმა და ლეილა ქართულ ენას
3. გუმინ დილით რას
4. მურატ ილდირიმი საქველმოქმედო საქმიანობას
5. ნინო სურგულაძე თბილისში ხშირად

7. შეავსეთ თავისუფალი ადგილები შესაბამისი ზმნებით!

გავაკეთოთ / წახვიდე / ვთქვა / მივალწიო / დავჯდე / ისწავლო

1. შეიძლება, რაღაც
2. ნინო, სახლში მალე უნდა
3. შეიძლება, თქვენთან ერთად
4. ესმა, ქართული ენა კარგად უნდა
5. დღეს რა უნდა
6. მინდა წარმატებას



თავი 6.

1. მიუწერეთ სიტყვები სურათებს!

1. სკოლა

2. მარკეტი

3. ბანკი

4. ავთიაქი

5. საავადმყოფო

6. სალონი

7. კაფე




8. რესტორანი

9. ავტოსადგური

10. აეროპორტი

11. პოლიცია

12. სასტუმრო





2. მოცემული სიტყვებით შეადგინეთ წინადადებები:

- 1. ესმას / ფინანსისტად / ბანკში / მამა / მუშაობს
.....
- 2. ექიმმა / უმკურნალა / კლინიკაში / პაციენტს
.....
- 3. ახალ / ყიდიან / სუპერმარკეტში / პროდუქტებს
.....
- 4. წავლენ / და / ლია / აიშე / მუზეუმში / ხვალ
.....
- 5. მანქანა / სადგურთან / ბენზინგასამართ / დგას / ბევრი
.....

3. დააკავშირეთ წინადადებები!


- | | |
|-----------------|-------------------------------------|
| ა. მასწავლებელი | სალონში თმებს კრეჭს. |
| ბ. ექიმი | წესრიგს იცავს ყველგან. |
| გ. ფინანსისტი | მოედანზე ფეხბურთს თამაშობს. |
| დ. პოლიციელი | კლინიკაში მკურნალობს. |
| ე. ფეხბურთელი | ბანკში საფინანსო საქმიანობას ეწევა. |
| ვ. დალაქი | რესტორანში კერძებს ამზადებს. |
| ზ. გამყიდველი | აფთიაქში წამლებს ამზადებს. |
| თ. ფარმაცევტი | თეატრში როლს ასრულებს. |
| ი. მსახიობი | სავაჭრო ცენტრში ვაჭრობს. |
| კ. მზარეული | სკოლაში ასწავლის. |



4. სურათების მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს!




ავთიაქი სად არის?
.....



ბანკი სად არის?
.....



მანქანა სად არის?
.....



პარკი სად არის?
.....



5. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები სათანადო ფორმებით:

ხისგან / ექიმისთვის / მძღოლისკენ / ბიბლიოთეკისთვის /
ბაზრისკენ / მხატვრისგან

1. მნიშვნელოვანია პაციენტის ჯანმრთელობა.
2. სკოლის ახალი წიგნები შეიძინეს.
3.მშენიერი სურათი ვიყიდე.
4. კარგ ავეჯს ამზადებენ.
5. ახლა ბავშვები ავტობუსის მიდიან.
6.წასვლა ფეხითაც შეიძლება.

6. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები სათანადო ფორმებით:

ჩვენი / შენმა / თქვენს / ჩემი / ჩემო / მისი




1. თეატრი ისტორიულია.
2. ექიმმა რეცეპტი მოგცა?
3. მასწავლებელს რა ჰქვია?
4. ძმის კაფეში წავიდეთ!
5. მეგობრებო, სად ხართ?
6. ისინი პაციენტები არიან.



თავი 7.

1. მიუწერეთ სიტყვები სურათებს!

1. შარვალი 2. ქამარი 3. საყურე 4. ქუდი 5. პერანგი 6. ქურთუკი
7. სვიტერი 8. პიჯაკი 9. ფეხსაცმელი 10. კაბა 11. ჰალსტუხი
12. მაისური 13. წინდა 14. კაშნე 15. ხელთათმანი 16. მაჯის საათი






2. მოცემული სიტყვებით შეადგინეთ წინადადებები!

- 1. ღიღებს / ბეზია / იკრავს / პალტოს
- 2. იხურავს / ახმედი / ქუდს / ახალ
- 3. ესმამ / შეიძინა / ყელსაბამი
- 4. იცვამს / ანა / დღეს / კაზას / ვარდისფერ
- 5. აქვს / ნიკას / სათვალე / ნომრიანი
- 6. აქვს / შუღეს / ქოლგა / მზის

3. შეადგინეთ მსგავსი წინადადებები!



ნიმუში: კაცი საათს იკეთებს.

- 1.
- 2.
- 3.
- 4.
- 5.
- 6.



4. აღნიშნეთ, რომელია ზედმეტი (✓)!

| | | | | | | | | |
|----|---|--------|--|--------|--|------------|--|-----------|
| 1. | ✓ | ქამარი | | თეთრი | | ყვითელი | | შავი |
| 2. | | მწვანე | | კაშნე | | ვარდისფერი | | ყავისფერი |
| 3. | | ლურჯი | | წითელი | | ქუდი | | ცისფერი |
| 4. | | თეთრი | | შავი | | მწვანე | | პიჯაკი |

5. ჩაწერეთ ცხრილებში სათანადო მოქმედების შესაბამისი სიტყვები!

შარვალი, ქამარი, საყურე, პერანგი, პიჯაკი, ბეჭედი, ფეხსაცმელი, სამაჯური, კაბა, ჰალსტუხი, მაისური, მაჯის საათი

ჩაცმა

1.
2.
3.
4.
5.
6.

გაკეთება

1.
2.
3.
4.
5.
6.

6. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები!

ნიმუში: თ_თ_ი = თეთრი

1. ყ_ვი_ფ_რ_ =
2. შ_ _ო =
3. ვა_დ_ს_ე_ო =
4. წ_თ_ლ_ =
5. ლ_რ_ო =
6. ც_ს_ე_ო =
7. ოქ_ო_ფ_რ_ =



7. დააცალკევეთ ფორმები!

- 1. რაზომატანსაცმელსიცვამთ?
.....
- 2. რანომერფებსაცმელსიცვამთ?
.....
- 3. რომელიაქსესუარიმოგწონთ?
.....
- 4. როგორიფერისქურთუკიგინდათ?
.....
- 5. გიყვართლამაზიაქსესუარები?
.....

8. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები!

1. ბებია პალტოს ღილებს

- ა. იკრავს
- ბ. იკეთებს
- გ. იხურავს
- დ. იცვამს

3. — თქვენ რა ფებსაცმელი გინდათ?

- ა. კაბა
- ბ. შარვალი
- გ. ფერის
- დ. ქუდი

2. ახმედი ახალ ქუდს

- ა. იკრავს
- ბ. იხურავს
- გ. იცვამს
- დ. იკეთებს

4. ზამთარში იცვამენ ტანსაცმელს.

- ა. თბილ
- ბ. ცხელ
- გ. გრილ
- დ. ცივ

დანართი 2.

ზმნები

თავი 1.

| თამაში | | | | |
|--------|-----------|------------|-----------------------|-------------------------------------|
| | ახლანდ. | მომავალი | წარსული | ბრძანებითი |
| მე | ვთამაშობ | ვითამაშებ | ვითამაშე | |
| შენ | თამაშობ | ითამაშებ | ითამაშე | ითამაშე! არ ითამაშო! |
| ის | თამაშობს | ითამაშებს | ითამაშა / მან | ითამაშოს! არ ითამაშოს! / მან |
| ჩვენ | ვთამაშობთ | ვითამაშებთ | ვითამაშეთ | ვითამაშოთ! არ ვითამაშოთ! |
| თქვენ | თამაშობთ | ითამაშებთ | ითამაშეთ | ითამაშეთ! არ ითამაშოთ! |
| ისინი | თამაშობენ | ითამაშებენ | ითამაშეს / მათ | ითამაშონ! არ ითამაშონ! / მათ |

| ფიქრი | | | | |
|-------|----------|-----------|----------------------|-----------------------------------|
| | ახლანდ. | მომავალი | წარსული | ბრძანებითი |
| მე | ვფიქრობ | ვიფიქრებ | ვიფიქრე | |
| შენ | ფიქრობ | იფიქრებ | იფიქრე | იფიქრე! არ იფიქრო! |
| ის | ფიქრობს | იფიქრებს | იფიქრა / მან | იფიქროს! არ იფიქროს! / მან |
